



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ERASMUS FOR YOUTH
Cooperation for Growth
Capacity Building for youth



ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა სოციოლოგიური კვლევა

ბორი
2019

სოციოლოგიური კვლევა
ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა

კვლევის ხელმძღვანელი და ანალიტიკოსი:

სოსო მეზერიშვილი

რედაქტორი:

სოფიო ბერიანიძე

გორი

2019 წელი

სოციოლოგიური კვლევა შექმნილია ა(ა)იპ „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანების“ მიერ, ა(ა)იპ ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის“ მხარდაჭერით.

კვლევა მომზადებულია პროექტის "ჩართულობის სამკუთხედის" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამის „ერასმუს+“ ფარგლებში. იგი მიზნად ისახავდა ახალგაზრდულ სფეროში მოღვაწე და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და საჯარო მოხელეებს შორის ინოვაციური თანამშრომლობის პრაქტიკების დანერგვას. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ მოლდოვის, საქართველოს, სომხეთის, შვედეთისა და ფინეთის ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სამოქალაქო და ახალგაზრდული ორგანიზაციები.

წინამდებარე კვლევის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია ორგანიზაცია „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება“ და ეს არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს „დრონის“, ევროკავშირის და კონსორციუმის სხვა პარტნიორების შეხედულებებს.

მადლობას ვუხდით გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასა და ა(ა)იპ „ლიდერთა ლიგას“ კვლევის წარმატებით განხორციელებისა და ახალგაზრდა, აქტიურ ჯგუფებთან დაკავშირებისათვის. ასევე, მადლობას ვუხდით გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული განყოფილების ხელმძღვანელს დიმიტრი გოგიაშვილსა და ამავე მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველს, შალვა ტლაშაძეს, კვლევის განმახილვაში გაწეული დახმარებისა და მონაწილეობის ინფორმაციისთვის.

Commented [U1]: თუ შესაძლებელია რომ იყოს ეს გვერდი, კარგი იქნება, თუ არ შეიძლება მაშინ ამოვიღოთ.

სარჩევი

შესავალი.....	6
არსებული სიტუაციის მიმოხილვა	8
კვლევის საჭიროების დასაბუთება.....	11
კვლევითი შეკითხვა.....	12
კვლევის კითხვარები	13
ექსპერტული ინტერვიუს კითხვარის სტრუქტურა	13
ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმის სტრუქტურა	14
კვლევის დიზაინი.....	16
კვლევის ვალიდობა	19
კვლევის ანგარიში.....	19
ექსპერტული კვლევის ანალიზი	20
ფოკუს ჯგუფის ანგარიში	28
კვლევის მიგნებები	38
მკვლევარის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:.....	38
გამოყენებული ტერმინოლოგია	47
გამოყენებული ლიტერატურა.....	47
დანართები.....	48
დანართი №1	48
დანართი №2.....	49
დანართი №3.....	46

შესავალი

ახალგაზრდული ცენტრი თავისი მნიშვნელობით საკმაოდ საინტერესო როლს თამაშობს 14-29 წლის ახალგაზრდების ცხოვრებაში. დღეს საქართველო არ გამოირჩევა ახალგაზრდული ცენტრების სიმრავლითა და მისი სიმდიდრით. ამ მხრივ, გამოჩნდის არც გორის მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს. მიუხედავად არაერთი ცენტრის არსებობისა, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, ახალგაზრდებს მაინც აქვთ სურვილი, რომ მათთვის იყოს შეთავაზებული უკეთესი ცენტრები, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერესებისამებრ მუშაობას. თავადვე შეძლონ გარკვეული წრეების ჩამოყალიბება საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით და შექმნილ საინიციატივო ჯგუფებში მუშაობა. აღნიშნული სურვილი განსაკუთრებით მძაფრია რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდებისთვის¹, სადაც მათთვის საჯარო სკოლის გარდა, სხვა თავშესაფრის ადგილი არ არის, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ხშირად მხოლოდ საკლასო ოთახით სარგებლობენ, სადაც გარემო ერთფეროვანი და ყოველდღიურობის ნაწილია. თუ რატომ ვერ ხერხდება თავად სასკოლო სივრცის ათვისება და იქ შესაბამისი გარემოსა თუ ცენტრის მოწყობა ეს ცალკე საკვლევი თემაა და საკმაოდ კომპლექსურიც, რადგან აქ პირველ რიგში პრობლემა უნდა ვეძებოთ თავად სასკოლო სისტემაში, სასკოლო თვითმართველობასა და ახალგაზრდების დაბალ ცნობიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკმაოდ მნიშვნელოვანია, რეგიონში შეიქმნას ისეთი ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც შეძლებს და ახალგაზრდებს მათი ინტერესების და არა მხოლოდ დონორის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისად მიაწვდის სხვადასხვა სერვისებს. თუმცა, ამ მხრივ, სჭირო იქნება, საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტთან შესაბამისობა სრულად იყოს დაცული და მინიმუმ ის სტრატეგია და პოლიტიკა იყოს ასახული ცენტრის საქმიანობაში, რითიც ვსარგებლობთ, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მუნიციპალურ დონეზე. მნიშვნელოვანი და საჭიროა კვალიფიციური კადრი იყოს ჩართული ცენტრის

¹ ახალგაზრდობის კვლევა 2018წ. გორი.

აქტივობაში. ასევე ის მუშაკები, რომლებიც იმუშავებენ „კომპეტენციების განვითარების ჩარჩოს“ დოკუმენტის შესაბამისად ახალგაზრდებთან. ახალგაზრდების ინტერესებიდან გამომდინარევე. აღნიშნული საკითხი გასული წლის რამდენიმე კვლევაში საკმაოდ მკაფიოდ გამოიკვეთა² და საბოლოოდ, გორის მუნიციპალიტეტმა ამ კვლევებზე დაყრდნობით შეიმუშავა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც შემუშავებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით შემუშავდა ათწლიანი სტრატეგიული ხედვა გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების ხელშესაწყობად. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცდა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის ნოემბერში.

² იგულისხმება:

„ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება“-ის და „ლიდერთა ლიგა“-ს მიერ ჩატარებული „გორის ახალგაზრდების კვლევა“ (მუნიციპალიტეტის მასშტაბით)
„ერასმუს“-ის მოხალისეების მიერ ჩატარებული „გორის ახალგაზრდების კვლევა“ კვლევა (ქალაქის მასშტაბით)
სპოტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული „ახალგაზრდების კვლევა 2018“

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

გორის მუნიციპალიტეტი საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთ გამორჩეულ მუნიციპალიტეტადაა აღიარებული და როგორც სახელმწიფო სამსახურს არაერთი ჯილდო აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი წარმომადგენლობებისგან.³ ბოლო პერიოდში არჩეული თვითმართვებულება მუდმივად ცდილობს აქტიურად ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან და ამისთვის, გარდა თანამშრომლობის თავადაც ცდილობს ჩაატაროს სოციოლოგიური კვლევები სხვადასხვა საკითხზე.⁴ მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ ბიუჯეტის დაგეგმვისას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება და ახალგაზრდების ინტერესების შესწავლა, რომელის მონაცემებზე დაყრდნობითაც 2018 წლის გაზაფხულზე დაიწყო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი და იმავე წლის ნოემბერში გამგეობის სხდომაზე მიიღეს სტრატეგია ათი წლის ვადით, სადაც ასახულია ის პრიორიტეტები და გამოწვევები, რაც ახალგაზრდობის წინაშე დგას დღეს. თავად ახალგაზრდული დეპარტამენტი გამოირჩევა გორის მუნიციპალიტეტში, რომელიც მუდმივად უჭერს მხარს ახალგაზრდულ პროექტებსა და მათ განვითარებას.⁵ ეს უკანასკნელი აისახება ახალგაზრდობის ჩართულობაზე საზღვარგარეთ მოკლევადიან გაცვლით პროგრამებში, ინიციატივების დაფინანსებაზე, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება და ა.შ.⁶

2018 წლის მონაცემებით, გორის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ერთი ახალგაზრდული ცენტრი, ასევე რამდენიმე ახალგაზრდული კლუბი და ყოველი მათგანი განსხვავდება ძირითადი პრინციპებით ერთმანეთისაგან, ასევე ადგილმდებარეობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის თვალსაზრისით. თუმცა

³ ჯილდო - მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკისთვის ჯილდო - მსოფლიო ბანკის სტანდარტების „ეკონომიკური განვითარება“-ს გათვალისწინებისთვის

⁴ „ქ. გორის 2016 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტების კვლევა“ 2015წ.

⁵ „ქ. გორის 2017 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტების კვლევა“ 2016წ.

⁶ „ახალგაზრდობის ინტერესების კვლევა გორის მუნიციპალიტეტში“ 2018წ.

⁷ ინტერვიუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, 2019წ.

⁸ დაწვრილებითი ინფორმაციის სანახავედ იხ. დანართი #3

გაცილებით მრავალფეროვანია ახალგაზრდული ორგანიზაციები და მათი პროექტები ახალგაზრდებისათვის.

გორის მუნიციპალიტეტში ერთადერთი ახალგაზრდული ცენტრი ეს არის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი, რომელსაც გააჩნია საკუთარი პროგრამები და სთავაზობს 14-21 წლის ახალგაზრდებს. ასევე შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ცენტრის გამოყენებას, სადაც დამატებით შესაძლებელია როგორც ცენტრის, ასევე მათი წევრებისთვის ახალი პროგრამების შეთავაზება. აღნიშნული ცენტრი დააარსა დანიის საბჭომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ახალგაზრდებისთვის. დღეისათვის ეს ცენტრი გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ა(ა)იპ-ს წარმოადგენს და ემორჩილება მუნიციპალიტეტს, საიდანაც ის იღებს ყოველწლიურ ბიუჯეტსა და სამოქმედო გეგმას, თუმცა ფინანსური რესურსის მხრივ აქვთ შესაძლებლობა დონორი ორგანიზაციების მხრიდან მიიღონ მხარდაჭერა.

მუნიციპალიტეტში მდებარეებს სხვადასხვა პროფილის მქონე ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ დონორ ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტში ახორციელებენ სხვადასხვა ახალგაზრდულ პროგრამებს, რომლის პოლიტიკაც შედგენილია როგორც დონორის მიერ, ასევე, ზოგ შემთხვევაში თავად ამუშავენ ახალგაზრდების ჩართულობით. საკუთარი ორგანიზაციების ბაზაზე ასევე შექმნილი აქვთ სხვადასხვა კლუბი ახალგაზრდების ინტერესებთან გამომდინარე და გეგმავენ სხვადასხვა სახის აქტივობებს.

ერთ-ერთი გამოცდილი არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდული მიმართულებით ეს არის „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“-ს ბაზაზე მდებარე ახალგაზრდული კლუბი, რომელიც დაფინანსებულია საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ და შესაბამისად აღნიშნული ცენტრი ემსახურება დონორის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას. ცენტრი განკუთვნილია 15-25 წლის ახალგაზრდებისთვის და მნიშვნელოვან კონტიგენტს წარმოადგენენ სასკოლო ასაკის მოზარდები.

ერთ-ერთი ახალგაზრდული მიმართულებების მექონე ორგანიზაცია ეს არის საზოგადოება „ბილიკი“, რომელიც საკმაოდ აქტიურად მუშაობს ახალგაზრდებთან, აქვს საკუთარი დღის ცენტრები სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისათვის, რომლის ძირითადი ბენეფიციარები სოციალურად დაუცველი ბავშვები და ახალგაზრდები არიან, თუმცა 18 წელს ზემოთ აღნიშნული ორგანიზაცია ახალგაზრდებს სთავაზობს სხვადასხვა სტაჟირებისა და მოხალისეობის პროგრამებს, ასევე დაფუძნებული აქვს კლუბები, რომლებშიც ერთიანდებიან სასკოლო ასაკის ახალგაზრდები საკუთარი ინტერესების მიხედვით.

ასევე საკმაოდ აქტიური ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც გვხვდება გორის მუნიციპალიტეტში არის „ლიდერთა ლიგა“. რომელიც სამუშაოდ იყენებს მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო სივრცეს და საკმაოდ მრავალრიცხოვანი წევრთა შემადგენლობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იგი აერთიანებს 14-29 წლის ახალგაზრდებს, ძირითადი კონტიგენტი მაინც სასკოლო ასაკის ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, თუმცა სხვა ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, აღნიშნული საკუთარ სამუშაო პოლიტიკას მთლიანად ახალგაზრდების ინტერესებზე დაყრდნობით ადგენს, აქვთ საკუთარი მიმართულებები, ე.წ. განყოფილებები და კლუბები, რომლებიც ახალგაზრდების ინტერესების მიხედვით იქმნება ერთი წლის ვადით. წლის მანძილზე გვემხვება და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს.

„ქართლოსი“ წარმოადგენს ასევე ერთ-ერთ აქტიურ ახალგაზრდულ ცენტრს გორის მუნიციპალიტეტში, რომელსაც აქვს რაიონებში ჩამოყალიბებული საკუთარი ცენტრები, სადაც ახალგაზრდებისთვის მოწყობილია შეკრებისა და სამუშაო სივრცე. აღნიშნული ორგანიზაცია არის გამტარი გორის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა საერთაშორისო მოხალისეობის პროგრამებისა და ასევე სახელმწიფო პროგრამების, კერძოდ „საქართველოს მოხალისე“, რომლის მონაწილეც 2018 წლის „საუკეთესო მოხალისის“ ტიტულით დაჯილდოვდა.

ახალგაზრდული ცენტრის პრინციპებს იყენებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭკვიანი მომავალი“, რომელსაც გააჩნია რამდენიმე პროფილური მიმართულება, კერძოდ, აღნიშნული ორგანიზაცია ახალგაზრდებს სთავაზობს სივრცესა და

შესაძლებლობებს სამსახიობო, ჟურნალისტური, ფოტოგრაფიის და სხვადასხვა მსგავს პროგრამებზე სწავლასა და დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ცდილობს ახალგაზრდების ჩართულობით შექმნას სატელევიზიო პროდუქცია: მხატვრული ფილმები, სერიალი და დოკუმენტური ფილმები...

გორის მუნიციპალიტეტში, გარდა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებისა, არსებობენ სხვა ახალგაზრდული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ასევე სხვადასხვა მცირე თუ მასშტაბურ პროექტებს სთავაზობენ ახალგაზრდებს და აქტიურად მუშაობენ მათთან. ამ მხრივ გორის მუნიციპალიტეტი მართლაც ერთ-ერთი ძლიერი მხარეა საქართველოს მასშტაბით.

კვლევის საჭიროების დასაბუთება

ახალგაზრდული ცენტრის მნიშვნელობა საკმაოდ ღრმა და მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ცენტრის მიერ შეთავაზებული სამუშაო სივრცე და დამხმარე საშუალებები ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობებს, რომ განივითარონ და აიმაღლონ საკუთარი კომპეტენციები, დაგეგმონ და გაატარონ თავისუფალი დრო უფრო ნაყოფიერად საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

სიტუაციის მიმოხილვაში როგორც ვისაუბრე, საკმაოდ მრავალი ახალგაზრდული ორგანიზაცია არსებობს მუნიციპალიტეტში, თუმცა ხშირად ისინი მოქმედებენ პროექტის ინტერესებიდან გამომდინარე, სადაც გათვლილია კონკრეტული მიზანი და შემდგომ ხშირად შეუფასებელი რჩება მისი თანხედრა საქართველოს ახალგაზრდულ პოლიტიკის დოკუმენტთან და ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს დოკუმენტთან მით მეტეს. შესაბამისად მნიშვნელოვანია ახალგაზრდული ცენტრის დაფუძნებისას გათვალისწინებული იყოს ახალგაზრდების ინტერესები, შეხედულებები და რჩევები, რადგან ცენტრი

იქმნება მათთვის და ისინი უნდა დაინტერესდნენ იქ მისვლითა და მუშაობით, შეთავაზებულ აქტივობებში ჩართვით, რათა შეძლონ პროდუქტიულად საკუთარი დროის გამოყენება.

ექსპერტებთან ინტერვიუებითა და ფოკუს ჯგუფზე მონეული რესპონდენტების გამოცდილების გაზიარებით, ჩვენ შევძლებთ მაქსიმალურად ავსახოთ კვლევისას გამოვლენილი ახალგაზრდების შეხედულებები ცენტრთან მიმართებით და შემდგომ სამუშაო პროცესში აისახოს მათი კონკრეტული ინტერესები. დამატებით ეს მოგვცემს საშუალებას სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების, აქტივობების, სასწავლო პროგრამების იმგვარად დაგეგმვას, რაც უკვე აპრობირებული და წარმატებულია გორის მუნიციპალიტეტში.

კვლევითი შეკითხვა

კვლევითი შეკითხვა ეხმარება მკვლევარს კვლევის მიმდინარეობისას არ ასცდეს მთავარ საკვლევ საკითხს. შექმნილი კითხვარები და სადისკურიო გეგმა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მთავარი შეკითხვების პასუხებთან. ახალგაზრდული ცენტრის შექმნისთვის ჩატარებული კვლევის საკვლევო შეკითხვებია:

- რა სახის აქტივობებს/პროექტებს ანიჭებენ უპირატესობას ახალგაზრდები?
- როგორია მოხალისეობრივი ჩართულობა ახალგაზრდულ პროექტებში?
- რა მოლოდინები აქვთ ცენტრისგან?
- რა კრიტერიუმებს ეყრდნობა მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მუშაობა?
- რა სახის ინტერესები გააჩნიათ ახალგაზრდებს?

კვლევის კითხვარები

ახალგაზრდული ცენტრის გახსნისთვის საჭირო გახდა ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვა ექსპერტული ინტერვიუს სახით და მათი გამოცდილების გაზიარება პროექტების მართვასა და ახალგაზრდებთან კომუნიკაციის თვალსაზრისით. რაც შეეხებათ უშუალოდ ახალგაზრდებს, მათთან კომუნიკაცია და კვლევისას შეხება გვექონდა ფოკუს ინტერვიუებისას, სადაც უკვე თავად გვიზიარებდნენ საკუთარი შეხედულებებსა და გამოცდილებას ახალგაზრდულ აქტივობებთან დაკავშირებით.

❖ ექსპერტული ინტერვიუს კითხვარის სტრუქტურა

1. გთხოვთ მოგვიყვით თქვენი ცენტრის/კლუბის/პროგრამების შესახებ.
2. არის თუ არა თქვენი პოლიტიკა მტკიცებულებებზე დაფუძნებული? (evidence-based)
3. რა კრიტერიუმებით არჩევთ ახალგაზრდებთან მომუშავე პირებს?
4. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაქვთ ახალგაზრდების შეხედულებები გათვალისწინებული?
5. რა კონკრეტული ნაბიჯები იდგმევა ამის გასაკეთებლად?
6. რას ნიშნავს თქვენთვის ახალგაზრდები?
7. რომელ ჯგუფებად ჰყოფთ ახალგაზრდებს და ვინ არის თქვენი უშუალო სამიზნე?
8. აღნიშნულ ხედვას როგორ აყალიბებთ?
9. რა სახის აქტივობებს სთავაზობთ ახალგაზრდებს?
10. რამდენად ითვალისწინებთ საქართველოს/რეგიონის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს ახალგაზრდებთან მუშაობისას?
 - როგორ ითვალისწინებთ?
11. ახალგაზრდული კომპეტენციების ჩარჩოს?

12. როგორ ფიქრობთ, ინკლუზიური განათლების მეთოდს რამდენად იყენებთ?
13. თქვენი ცენტრი არის თუ არა ადაპტირებული? **(არამართო პანდუსი-სუსტი მხედველობის მქონეთათვისაც)**
14. რას ნიშნავს თქვენთვის ახალგაზრდების ჩართულობა?
15. ძირითადად რა სახის აქტივობებს გამოარჩევდით, სადაც ახალგაზრდების ჩართულობა ყოველთვის გამოირჩევა?
16. თავად ახალგაზრდები რამდენად იღებენ რაიმე ინიციატივას საკუთარ თავზე?
17. როგორ იზიდავთ ახალგაზრდებს, ან როგორ რთავთ მათ აქტივობებში?
18. თქვენი გამოცდილებით, ძირითადად რა ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორები გაქვთ ახალგაზრდებთან ურთერთობისას?
 - აქტივობების დაგეგმვა განხორციელებისას?
19. რამდენად თანამშრომლობთ დონორებთან, არასამთავრობო, ბიზნეს ან სახელმწიფო სექტორებთან?
 - როგორია მათი ჩართულობა და როლი თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში?
20. რას შეცვლიდით ცენტრის საქმიანობაში, ახალგაზრდების მეტად ჩასართავად და დასაინტერესებლად?
21. თქვენი აზრით, ცენტრის პოლიტიკაზე ვინ უნდა მუშაობდეს, უნდა იყოს ეს ცენტრი, ახალგაზრდები, მუნიციპალიტეტი თუ ეს ერთობლივად უნდა მუშაობდებოდეს?
22. როგორ მიგაჩნიათ, ბიზნეს სექტორის როლი ახალგაზრდულ ცენტრებთან მიმართებით?
23. რესპონდენტის შენიშვნები და რეკომენდაციები.

❖ ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმის სტრუქტურა

1. მოგვიყვით, ზოგადად, როგორ ატარებთ თქვენ თავისუფალ დროს?
2. რა გიშლით/შეგიწყობდათ ხელს თავისუფალი დროის პროდუქტიულად გამოყენებაში?

3. აღწერეთ თქვენი იდეალური თავისუფალი დრო.
4. ზოგადად, რომელ ახალგაზრდულ ცენტრზე/კლუბზე/პროექტზე გსმენიათ თქვენს მუნიციპალიტეტში? (კლუბი / ცენტრი / წრე - განმარტოთ)
5. როგორ გესმით ახალგაზრდული ცენტრის მნიშვნელობა? (განიმარტოს აქვე ახალგაზრდული ცენტრის მნიშვნელობა)
6. რისი კეთების სურვილი გაქვთ თავისუფალ დროს, ან ზოგადად .რომ იყოთ დაკავებული?
- რეალურად რისი კეთება შეგიძლიათ, ანუ რისი კეთების შესაძლებლობა/უნარი გაქვთ?
7. რა მიგიზიდავდათ ახალგაზრდულ ცენტრში?
8. შესაბამისი და რეალისტური ხელშეწყობისას რის გაკეთებას შეძლებდით?
9. როგორ ფიქრობთ, სად უნდა მდებარეობდეს ახალგაზრდული ცენტრი?
10. როგორი დანიშნულების უნდა იყოს, ანუ მრავალფუნქციური უნდა იყოს თუ კონკრეტული მიმართულების?
11. როგორ ფიქრობთ, რა სახის აქტივობები უნდა იმართებოდეს ცენტრში?
12. სასწავლო პროგრამები რა პრიორიტეტების მიხედვით უნდა იყოს დალაგებული?
13. ახალგაზრდულ პოლიტიკის დოკუმენტზე თუ გსმენიათ?
14. ახალგაზრდულ კომპეტენციების ჩარჩოს შესახებ?
15. (მკვლევარი კითხულობს „კომპეტენციების ჩარჩოს“) როგორ ფიქრობთ, ძირითადად
16. რომელი კომპეტენციების განვითარებაზე უნდა იყოს ცენტრის პოლიტიკა ორიენტირებული?
17. როგორ ფიქრობთ, რა მისიის მატარებელი უნდა იყოს ცენტრი ახალგაზრდებში?
18. როგორ ფიქრობთ, რით უნდა გამოირჩეოდეს სხვა ახალგაზრდული ცენტრებისგან?
19. რამდენად ხშირად უნდა ახორციელებდეს ცენტრი აქტივობებს?
20. პირადად თქვენ რა დროის დათმობა შეგიძლიათ ცენტრის აქტივობებისათვის?

21. თქვენი აზრით, ცენტრის პოლიტიკაზე ვინ უნდა მუშაობდეს, უნდა იყოს ეს ცენტრი, ახალგაზრდები, მუნიციპალიტეტი თუ ეს ერთობლივად უნდა მუშავდებოდეს?
22. როგორ მიგაჩნიათ ბიზნეს სექტორის როლი ახალგაზრდულ ცენტრებთან მიმართებაში?
23. რესპონდენტების შენიშვნები და რეკომენდაციები.

კვლევის დიზაინი

კვლევისას გამოყენებული იქნება სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. ძირითადად კლუბის სტრუქტურისა და სამომავლო პოლიტიკის შესაშუშავებლად საჭირო იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან რამოდენიმე მეთოდის გამოყენება. კერძოდ, კვლევაში გამოვიყენეთ დოკუმენტის შესწავლის მეთოდი, ექსპერტული კვლევა და ფოკუს ინტერვიუები. კვლევის დიზაინად შეირჩა ფენომენოლოგიური დიზაინი, რაც გულისხმობს კვლევას რესპონდენტების გამოცდილების გაზიარებით, მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აღნიშნული დიზაინი იძლევა იმის საშუალებას, რომ კვლევის ყველა საფეხურსა თუ მეთოდში ჩართულნი იყვნენ საკვლევ სფეროში ჩართული ან მოღვაწე პიროვნებები, რომელთა გამოცდილებაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მასალას ცენტის წარმატებულად ფუნქციონირებისათვის.

დოკუმენტის შესწავლის მეთოდი იძლევა საშუალებას შევისწავლოთ რეგიონში არსებული სიტუაცია, კერძოდ რა სტრატეგიები არსებობს ახალგაზრდებთან მიმართებით სახელმწიფოს მხრიდან. ასევე, კერძო სექტორის მხრიდან და თუ არსებობს წარმატებული ცენტრების წერლობითი წყაროები, რაც დაგვეხმარებოდა ექსპერტებთან და ფოკუს ინტერვიუს წარმომადგენლებთან საკითხის სიღრმისეულად გაშლაში.

ექსპერტული კვლევის საშუალებით გავესაუბრეთ შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებს. ასევე გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება. გამოცდილება, რაც მათი აზრით, წარმატებულ მეთოდად, ან მოდელად ითვლება.

უშუალოდ ფოკუს ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა ცენტრებში ჩართულ ახალგაზრდებთან, რომლებიც არიან ცენტრის აქტივობებში აქტიურად ჩართულნი. მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ მათი აზრი, დამოკიდებულებები, თუ რატომ მოსწონდათ, ან არ მოსწონდათ რაიმე აქტივობები, მიმართულებები, რა განაპირობებდა მათ მოტივაციას, ან რამ დააკარგვინა მოტივაცია, კვლავ აქტიურად აღარ ყოფილიყვნენ ჩართულნი. საბოლოოდ, სრულად გავიზიარებთ მათ გამოცდილებას, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, ცენტრის მნიშვნელობა, ასევე, როდენ მნიშვნელოვანია ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები (14-29 წელი). რომლებიც ამჟამად არიან ჩართულნი სხვადასხვა ცენტრის აქტივობებში, ან უახლოესი თორმეტი თვის მანძილზე იყვნენ ჩართულნი. მათი გამოცდილების გაზიარება მოგვცემს საშუალებას ყველა იმ კითხვას გავცეთ პასუხი, რაც დაგვეხმარება სამომავლოდ მუშაობაში. კვლევის საგანს კი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ახალგაზრდული ცენტრების პოლიტიკა, როლი, ფუნქცია, სამუშაო განაწესი, და ზოგადად ყველა ის საკითხი, რაც მსგავსი ცენტრის დაფუძნებისას არის გასათვალისწინებელი.

კვლევისთვის გამოყოფილი დრო იყო ოცდაათი (30) კალენდრული დღე და კვლევა დაყოფილა იყო ოთხ ეტაპად:

პირველ ეტაპზე შემუშავდა სამუშაო გეგმა და შესასწავლი საკითხი იდენტიფიცირდა.

განისაზღვრა საკვლევი საგანი და ობიექტი. შემუშავდა საკვლევი კითხვები და კვლევის კითხვარი.

მეორე ეტაპზე მოვიძიეთ რესპონდენტები, დამუშავდა შესაბამისი ინფორმაცია, ჩატარდა ინტერვიუების სფეროს ექსპერტებთან გამოკითხვა და ასევე ფოკუს ჯგუფის მონაწილეებთან.

მესამე ეტაპზე გაიშიფრა აუდიო ჩანაწერები და მომზადდა კვლევის ანალიზი, ასევე შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტი.

მეოთხე ეტაპზე მოეწყო კვლევის შედეგების პრეზენტაცია და წარედგინა მუნიციპალიტეტში საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდა ადვოკატირების კამპანია.

კვლევის ვალიდობა

კვლევის ვალიდობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი სოციოლოგიური კვლევის განხორციელებისთვის. ვერ ჩატარდება სოციოლოგიური კვლევა, რომელსაც არ ექნება რაიმე სახის რისკი. თუმცა კვლევისას დაშვებული რისკი/ცდომილობა უნდა იყოს გონივრული და თვისებრივი კვლევის შემთხვევაში, საშუალოდ მისი სანდობა მერყეობს 60-80%-ს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე კვლევისას გამოვიყენეთ ფენომენოლოგიური კვლევის დიზაინი, მის წინ ჩატარებული ექსპერტული კვლევა მნიშვნელოვნად დაგვეხმარა მეთოდოლოგიის შემოწმებასა და საკვლევი ინსტრუმენტების საფუძვლიანად დახვეწაში. შესაბამისად, ამ ყოველივემ მოგვცა საშუალება, ექსპერტებისა და ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა გამოცდილება გაგვეზიარებინა კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე.

კვლევის დიზაინში, როგორც არის აღნიშნული, გამოყენებულია სამი სახის კვლევის მეთოდი - დოკუმენტის შესწავლის, ექსპერტული ინტერვიუს და ფოკუს ჯგუფის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კვლევის გარე ვალიდობა, ვიცოდეთ, თუ რამდენად არის განზოგადებადი მიღებული კვლევის მონაცემები ფართო პოპულაციაზე, როგორ შეგვიძლია მისი განზოგადება და რა ეტაპებია ამისთვის გასავლელი, ასევე მნიშვნელოვანია შიდა ვალიდობის თავიდანვე სწორად განსაზღვრა, რაც გულისხმობს იმას, რომ ვიცოდეთ ერთი ცვლადი რა გავლენას ახდენს მეორე ცვლადზე და რაიმე ცვლილება ხომ არ არის გამოწვეული დამოკიდებულ ცვლადზე სხვა გარე ცვლადის საშუალებით. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს პირადი შეხედულებები, ნათესავური კავშირი ახალგაზრდულ

ორგანიზაციის და ცენტრის წარმომადგენლებთან, ან „მტრული“ დამოკიდებულება ზემოთ ხსენებულ ყველა კატეგორიის წარმომადგენლებთან. მნიშვნელოვანია, მკვლევარმა მოახერხოს ექსპერტულ და ფოკუს კვლევაში მონაწილე რესპონდენტის ობიექტურობის შენარჩუნება. კონსტრუქტის ვალიდობას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ სწორად უნდა განიმარტოს კვლევისას ტერმინები და ცნებები. რათა არც რესპონდენტს და არც მკითხველს არ გაუჩნდეს გაუგებრობა რაიმე საკითხთან მიმართებით. კონსტრუქტის ვალიდობა პასუხისმგებელია კონსტრუქტის ოპერაციონალიზაციაზე. ერთ-ერთ მთავარ ვალიდობას რაც შეეხება, ეს არის დასკვნების ვალიდობის სისწორე, რაც არის ცოცხალი ჯაჭვის შემადგენელი ელემენტი და მისი საშუალებით ხდება სწორად დაკავშირება იმ ცნებებსა და ცვლადებს შორის, რაც მოგვცემს სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას. კვლევისას შესაძლოა სხვა ფაქტორებს და სხვა სახის ვალიდობებსაც გადავანწყდეთ, მაგრამ ძირითადად რისი განსაზღვრაც არის შესაძლებელი კვლევის დაგეგმარების ეტაპზე, ეს გახლავთ ეს ოთხი ძირითადი სახის ვალიდობა - შიდა, გარე, კონსტრუქტის და დასკვნების ვალიდობა, რაც არის ერთი მთლიანი რგოლი და არა რაიმე ცალ-ცალკე ეტაპები.

კვლევისას გასათვალისწინებელია, ადამიანური რესურსით გამოწვეული რისკები, რაც მდგომარეობს რესპონდენტების ცნობადობასა და ურთიერთდამოკიდებულებაში. სასურველია, რესპოდენტი წინასწარ იყოს ინფორმირებული საკვლევ საკითხსა და მის მიზანზე. შესაბამისად, არსებული ინფორმაცია კვლევის განმავლობაში საშუალებას იძლევა მის წარმატებით განხორციელებაში.

კვლევის ანგარიში

თვისებრივი კვლევის მეთოდის საშუალებით ჩატარდა სამი კვლევა. კერძოდ, პირველი ეს იყო დოკუმენტებისა და არსებული სიტუაციის შესწავლა, რომელზეც საუბარია ამავე ნაშრომის „არსებული სიტუაციის მიმოხილვა“-ის ნაწილში⁷. მეორე

⁷ იხ. ამავე ნაშრომში გვ.5

კვლევა, რომელიც ჩატარდა ეს იყო არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორში მომუშავე ექსპერტების გამოკითხვა ექსპერტული კვლევის მეთოდით, ინტერვიუები ჩატარდა 4 იანვრიდან 10 იანვრის ჩათვლით და გამოიკითხა ხუთი ექსპერტი. ამის შემდგომ ცვლილებები შევიდა ფოკუს ჯგუფის კითხვარში და ინტერვიუს სტრუქტურის სტრატეგიაში, რამაც დადებითი გავლენა იქონია კვლევისას და მაქსიმალურად ამომწურავად დაგვანახა რეგიონში არსებული სიტუაცია, მდგომარეობა. ის გამოწვევები და პრიორიტეტები, რაზეც მეტი ყურადღების გამახვილება საჭირო. ფოკუს კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი და მასში მონაწილეობას იღებდნენ აქტიური ახალგაზრდები, რადგან კვლევის დიზაინი შემუშავებული იყო ფენომენოლოგიური კვლევის დიზაინზე, რაც გულისხმობს რესპონდენტთა გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას.

❖ ექსპერტული კვლევის ანალიზი

გორის მუნიციპალიტეტში „ახალგაზრდული ცენტრის დაფუძნებისათვის“ მიმდინარე კვლევის მეორე ეტაპზე, დოკუმენტების და ზოგადად არსებული სიტუაციის შესწავლის შემდგომ, ინტერვიუები ექსპერტული კვლევის მეთოდის გამოყენებით ჩატარდა ახალგაზრდულ თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. აღნიშნული მეთოდით სულ გამოიკითხა ხუთი ექსპერტი, აქედან ერთი იყო საჯარო პირი გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან, ასევე ერთი პიროვნება იყო ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელი და დანარჩენი სამი პიროვნება ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან. კვლევის მსვლელობისას ძირითადად საუბარი შეეხებოდა ორგანიზაციების პოლიტიკას, პროგრამებს, მათ პროექტებს, სტრატეგიებს ახალგაზრდებისათვის და ა.შ. კვლევამ მთლიანობაში მსგავსი სურათი მოგვცა ყველა ჩატარებულ ინტერვიუზე, თუმცა მათ შორის იყო საინტერესო განსხვავებებიც და მსგავსებებიც. აღსანიშნავია, რომ პრობლემა ძირითადად ყველა ორგანიზაციას აქვს საერთო და ეს არის ტრანსპორტირების პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობას, სხვადასხვა პროექტებსა თუ აქტივობებში.

ზოგადად, არასამთავრობო სექტორში არსებული სიტუაციის შესწავლისას ნათლად გამოიკვეთა ის მრავალფეროვანი აქტივობები, რასაც ისინი ახალგაზრდებს სთავაზობენ. მართალია, მათ უმეტესობას ახალგაზრდული მიმართულება ცალკე კომპონენტად აქვს დამატებული, სხვა პრიორიტეტებთან ერთად, მაგრამ ეს არ ზღუდავს მათი პროექტებისა თუ აქტივობების მრავალფეროვნებას. თავად მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული განყოფილება საკმაოდ მრავალპროფილური აღმოჩნდა და უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მერია არამხოლოდ არასამთავრობო სექტორის თანადამფინანსებელია, არამედ ინდივიდუალურ მიმართვიანობაზეც მხარში უდგას ახალგაზრდებს. იქნება ეს რაიმე ახალგაზრდული ინიციატივის განხორციელება, მათი დაფინანსება საერთაშორისო დონის ღონისძიებაზე მონაწილეობის მისაღებად თუ სხვა. აღნიშნულს ამოწმებს მერიის მიერ გასულ წელს დაფინანსებული ახალგაზრდების რაოდენობაც⁸. თავად არასამთავრობო სექტორი კი ახალგაზრდებს სთავაზობს - სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო, არაფორმალურ, სარეაბილიტაციო და სხვა სახის პროგრამებს. ამ პროგრამების საშუალებით ერთობლივად სექტორი ცდილობს მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას და ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაშიც ისინი სხვადასხვა აქტივობების საშუალებით ცდილობენ მათ ჩართვას, თუმცა მსგავსი ლიდერების რიცხვი შედარებით ნაკლებია მოხალისე ახალგაზრდებში, მაგრამ, როგორც ერთ-ერთი ექსპერტი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს „ლიდერი ახალგაზრდები, რომელთაც შეუძლიათ ორგანიზება და ხელმძღვანელობა პროექტების არიან ცოტანი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვები არიან პასიურები, ის არალიდერი ახალგაზრდები მათ უკან არიან და უმაგრებენ ზურგს“, შესაბამისად, გუნდური სამუშაოს შესრულებისას პირდაპირ თუ ირიბად ახალგაზრდების დიდი ნაწილია ჩართული აქტიურ ქმედებებში მუნიციპალტეტის და საერთაშორისო მასშტაბზე.

სამოქალაქო სექტორი ახალგაზრდებთან ურთიერთობისას ამჯობინებს მტკიცებულებებზე დაყრდნობილ პოლიტიკას, რაც გულისხმობს ინტენსიურ კომუნიკაციას ახალგაზრდებთან, მათი ინტერესების გათვალისწინებას და ამ

⁸ იხ. დანართი №3

ინტერესებზე დაყრდნობით შესაბამისი აქტივობების შეთავაზებას. ყველა ექსპერტი საუბრობდა კვლევის გამოყენებაზე. საკუთარი ორგანიზაციის შიგნით ახალგაზრდული სტრატეგიის შემუშავების პროცესში, რაც გულისხმობდა როგორც ზოგიერთ შემთხვევაში, კვლევებს მუნიციპალური მასშტაბით და ასევე შიდა, მცირე ფოკუს ჯგუფებთან. მიუხედავად ამისა მაინც იგრძნობოდა მათ საუბარში დონორების გავლენა, რადგან ამ ფაქტს ვერსად გავუქცევით, როდესაც კონკრეტულ პროექტს აქვს თავისი მიზნები, ამ შემთხვევაშიც, უნდა მოერგოს მათ მიზნებს. ორგანიზაციის ხედვებიც. მიუხედავად ამისა, ხანგრძლივი დაფინანსების მქონე ორგანიზაციებს აქვთ იმის საშუალება, რომ გარკვეული ავტონომია ჰქონდეთ სტრატეგიის შემუშავებისას და დონორთან შეთანხმებით ახალგაზრდების ინტერესებიც იყოს გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული.

თითქმის ყველა ექსპერტს ახალგაზრდების მიმართ მომავლის ასოციაცია უჩნდებათ. იმედი აქვთ, რომ დემოკრატიული მმართველობა გაუმჯობესდება აქტიური ახალგაზრდების მეშვეობით, სწორედ ამიტომ ცდილობენ მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მათ სამოქალაქო აქტივიზმს, არაფორმალური განათლების მიწოდებას და მათთან სამუშაოდაც უმეტესობა კვალიფიციურ კადრებს ანიჭებს უპირატესობას. კვალიფიკაციაში აღნიშნავდნენ სამუშაო გამოცდილებას, ან შესაბამის განათლებას. რა პროფილის გამოცდილება აქვს კონკრეტული პროგრამისთვის შესაბამის კადრს, რა სახის ტრენინგები აქვს გავლილი, როგორია მისი აქტივობები და ა.შ. თუმცა მაინც თითქმის უმრავლესობა, საუბრისას მიდიოდა ახალგაზრდული მეშაკის როლის მნიშვნელოვნებაზე, მათ საჭიროებასა და უპირატესობებზე. აღნიშნულ თემას შეეხო როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორი და ეს თემა კვლევის დროს თავად გამოკვეთეს რესპონდენტებმა. აღნიშნული ინსტიტუტის საჭიროებას ისიც უსვამს ხაზს, რომ გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობა საერთოდ არ იყენებდა სამუშაოდ საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს⁹ და საქართველოს ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტს¹⁰, რაც არის ფუნდამენტი ახალგაზრდებთან

⁹ საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, 2015წ.

¹⁰ ახალგაზრდული საქმიანობის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი

საბაზისო შრომის გასაწევად. საუბრისას პოლიტიკის დოკუმენტზე მეტნაკლებად ჰქონდათ წარმოდგენა და თავადვე აღნიშნავდნენ, რომ იმდენად იყო დოკუმენტში ყველა საჭირო საკითხი წამოწეული წინ, სულ ბრმად რომ ემუშავათ, მაინც თანხვედრაში მოვიდოდნენ მასთან, თუმცა „კომპეტენციების ჩარჩო“ დოკუმენტი მცირე დაბნეულობას იწვევდა მათში შეკითხვის დასმისას და ბოლოს აღიარებდნენ, რომ ნაკლებად იცნობდნენ და იყენებდნენ მის მიზნებს საკუთარი სტრატეგიების განსაზღვრაში. სასიხარულოდ შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინტერვიუს შემდგომ რესპონდენტებს უჩნდებოდათ ინტერესი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების გაცნობისა და სამომავლოდ მისი გამოყენების სამუშაო პროცესში¹¹.

თავად ახალგაზრდები, როგორც ამას საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს 14-29 წლის ადამიანები არიან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ვერ შევხვდი ისეთ ორგანიზაციას რომელიც სრულად მოიცავდა ამ ასაკობრივ კატეგორიებს, ძირითადად, მაქსიმალური სამიზნე ასაკი 26-27 წელს აღწევდა ზედა ზღვარზე, ესეც მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავდა, როგორც კვლევისას გამოვლინდა, ძირითადი სამუშაო ასაკი რაწირებდა 15-23 წლის ახალგაზრდებს შორის, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც არასამთავრობო სექტორის მხრიდან, ასევე თავად ახალგაზრდებისგანაც, რადგან 23 წლის შემდგომ ახალგაზრდები ასრულებენ მინიმუმ სტუდენტობის პირველ საფეხურს და გადართულები არიან სამუშაოზე, ან ქმნიან ოჯახებს და ნაკლებად ერთვებიან სამოქალაქო აქტივიზმში და ა.შ. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით კვლევას და წარმოდგენს ახალ კვლევით იდეას. თავად სამუშაო პროფილი საკმაოდ მრავალფეროვანია, რესპონდენტებმა ძირითადად დაგვისახელეს შემდგომი სახის აქტივობები ახალგაზრდებისათვის - თემატური ტრენინგები/სემინარები, საჯარო ლექციები, ფილმების ჩვენება, სტაჟირების პროგრამები, პრაქტიკული სამუშაოები, მოხალისეობა, დასუფთავების აქციები, შიდა გაცვლითი პროგრამები, სიმულაციური თამაშები, ვებსკურსები, არაფორმალური განათლება, არაფორმალურ გარემოში აქტივობები, გამწვანების აქციები, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, ადამიანის უფლებები,

¹¹ მკვლევარის შენიშვნა.

საქველმოქმედო აქციები, ბიზნეს სკოლა, ფორმალური განათლების სხვადასხვა წრეები, საზაფხულო სკოლები, კონფლიქტების მოგვარება, ოკუპაცია, ეროვნული მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა, საზაფხულო ბანაკები და ა.შ. როგორც ვხედავთ, საკმაოდ მრავალფეროვანი და ამომწურავი სამუშაო პროფილებია, დაახლოებით ოცზე მეტი სახის, თუმცა მათი უმრავლესობა კიდევ შეიძლება ჩაიშალოს სხვადასხვა მიმართულებებად. მიუხედავად ამისა, ჩემთვის, როგორც მკვლევარისთვის, ნაკლებად იყო პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მორგებული აქტივობები, ან სამეწარმეო კომპეტენციის განვითარებისკენ მიმართული. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც სოციალური საწარმო ჰქონდათ ორგანიზაციებს და მათი ბენეფიციარები იყვნენ ჩაბმული საწარმო პროცესში. ასევე, სხვა დამატებით ტექნიკური სახის აქტივობები თითქმის არ შემხვედრია, რაც გულისხმობს შედარებით სპეციფიკურ, თუმცა არც ისე „დაბალრეიტინგულ“ საქმიანობებს, როგორიც არის თუნდაც სხვადასხვა სახის სპორტული უნარ-ჩვევების განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით და ა.შ. შესაბამისად, როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ, შედარებით შესუსტებულია ახალგაზრდების ჩართულობა ტრენინგებზე, ისეთ ტრენინგებზე, რომლებიც მუდმივად მოითხოვს ერთსა და იმავე სივრცეში ჯდომას, ან ტრენინგები ისეთ თემებზე რომელიც უკვე, როგორც ფოკუს ჯგუფზე აღნიშნეს ახალგაზრდებმა „გაცვეთილია“ და ახალს ვერაფერს სთავაზობს მათ, რადგან მუდმივად ერთიდაიგივე ფორმალური გარემოა. აქტივობების ზემოთ ნაწილში აღარ აღმინიშნავს ის სტანდარტული ტრენინგები, რომლებიც მუდმივად ტარდება დონორების მოთხოვნით ევროკავშირის, ნატოს, დემოკრატიული მმართველობის და სხვა თემების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

თანაბარ შესაძლებლობებს რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ არასამთავრობოთა ნაწილი იყენებს ინკლუზიურ განათლებას და ასევე ეს ნაწილი მუშაობს შშმ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე) ან სსმ (სპეციალური საჭიროების მქონე) პირებთან. თითქმის ყველა წარმომადგენელმა აღნიშნა მათი მზაობა ინკლუზიურ განათლების მოდელთან და შშმ/სსმ ჩართვის გასაძიერებლად.

თუმცა აქ სხვა კუთხით საჭიროებს დამუშავებასა და კვლევას. მათი პასუხები და მოსაზრებები სხვა სახის კვლევას უფრო შეესაბამება.

რაც შეეხება პრობლემებს, ახალგაზრდებთან ურთიერთობის კუთხით, ძირითადად დაბრკოლებას წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რაც ხელს უშლის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვან ჩართულობას ახალგაზრდულ პროგრამებში. ყველა თანაბრად აღნიშნავდა გადაადგილების პრობლემას რაიონებში და საუბრობდნენ ტექნიკურ საჭიროებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა ახალგაზრდების ჩართულობას, ასევე იყო საუბარი სკოლების ნაწილისგან ხელშეშლაზე, კერძოდ კი პედაგოგთა მხრიდან, ისინი ვერ აცნობიერებენ არაფორმალური განათლების მიზნებსა და შედეგებს, სამოქალაქო აქტივიზმს და მოუწოდებენ მოსწავლეებს დრო ფუჭად არ დაკარგონ, როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი გვიამბობდა - „ხშირად პედაგოგები ახალგაზრდებს ეუბნებიან, რომ დროს ტყუილად კარგავენ არაფორმალურ განათლებაზე, სამოქალაქო აქტივიზმზე და სხვადასხვა ახალგაზრდულ პროგრამებში ჩართვით, ურჩევენ რომ სწავლას მიხედონ, რაც თავისთავად დროთა განმავლობაში აისახება ახალგაზრდებზე უარყოფითად და მათ ეკარგებათ მოტივაცია მოხალისეობისა, საქმის კეთების, მართალია, ყველა სკოლაში მსგავსი სიტუაცია არ არის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს პრობლემა მწვავედ დგას“. თუმცა ამის საპირისპიროდ იმის თქმაც შეგვიძლია, რომ ყველა მათგანმა სკოლა დაასახელა სტრატეგიული მნიშვნელობის საპარტნიორო დაწესებულებად, სადაც ახალგაზრდების დიდი ნაწილი თავისი დროის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს. ორგანიზაციების უმეტესობა თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან, სადაც ისინი აკეთებენ საკუთარი პროგრამებისა და პროექტების პრეზენტაციებს, არჩევენ მოხალისეებს და სთავაზობენ სხვადასხვა სერვისებს. ზოგადად, ხელისშემშლელ ფაქტორებში ახალგაზრდებთან ურთიერთობისას გამოიკვეთა მძიმე სოციალური ფონი, სადაც ახალგაზრდები ფინანსური დაინტერესების გამო (მხოლოდ მოხალისეობაზე დაყრდნობით) მალე კარგავენ ინტერესს და მოტივაციას, ამიტომ უჭირთ შემდგომ აქტიურად იყვნენ ჩართულნი აქტივობებში, ეძებენ ანაზღაურებად საქმეს, რომ შეძლონ საკუთარი თავის შენახვა. ასევე პერმანენტული ტრენინგები, როგორც

ზემოთაჲ აღენიშნე, მოხერხდათ ახალგაზრდებს და ნაკლებად ინტერესდებიან ბიზნეს სკოლის აქტივობებითაჲ. მსგავსი პრობლემა რამდენიმე პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციას უდგას, სადაც ახალგაზრდებს არ აქვთ ინტერესი. ახალგაზრდებთან ასევე ხვდებიან ნიჰილისტურ დამოკიდებულებასაც მოხალისეობრივი საქმიანობისადმი, ასევე ხშირია გარდატეხის ასაკთან დაკავშირებით „ჩამოუყალიბებლობის“ (იგულისხმება ინტერესების სწრაფი ცვალებადობა) ფაქტორი, პესიმიზმი, დროის გრაფიკი, რაც გამოწვეულია გაუმართავი საგანმანათლებლო რეფორმით და რეპეტიტორების ძლიერი ინსტიტუტით. მიუხედავად ამისა წარმატებულ მუშაობაში ხელს მაინც საკუთარი გამოცდილება უწყობთ და უკუკავშირი საკუთარ მოხალისეებთან, რაც იძლევა საშუალებას ახალგაზრდებთან მათი საკუთარი ინტერესების მიხედვით მუშაობისას.

ახალგაზრდული ცენტრის დაფუძნებისათვის ექსპერტებთან გვექონდა საუბარი მის პოლიტიკასა და სტრატეგიის შექმნაზე პასუხისმგებელ პირებზე, სადაც საუბრისას მკვლევარი ეკითხებოდა ბიზნეს, საჯარო და კერძო სექტორის ჩართულობაზე. ძირითადად ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ ზემოთ ნახსენებ სექტორთან ერთად უნდა იყვნენ ახალგაზრდებიც ჩართულები და ერთობლივად იმუშავონ ყოველწლიურად. მათმა ნახევარმა, დამატებით, ასევე ხაზი გაუსვა სამუშაო პროცესში ახალგაზრდულ მუშაკთა როლს და აღნიშნეს, რომ მათი ჩართულობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ერთმა წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ საჭიროა ფსიქოლოგებისა და იმ სპეციალისტების ჩართვა, რომელთაც ეხებათ ბავშვთა აღზრდა და მათი განათლება (სოციალური მუშაკი, განათლების ექსპერტი, არაფორმალური განათლების ექსპერტი, დარგობრივი საქმიანობის ექსპერტები, მშობლები და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს სექტორის როლი ძალზედ მცირეა, მაინც გამოთქვამენ იმედს, რომ ეს სექტორიც ჩაებმება ახალგაზრდულ ცენტრთან თანამშრომლობაში და იტვირთავს სოციალურ პასუხისმგებლობას, ასევე სწორად მიაჩნიათ „მომხმარებლური“ დამოკიდებულება, სადაც ბიზნესი დახმარების სანაცვლოდ მიიღებს რეკლამას და პიარს ზომიერების ფარგლებში, ხოლო ბიზნესის ჩართულობა მინიმუმ მხარდამჭერის პოზიციიდან მიაჩნიათ დადებით დასაწყისად, ხოლო შემდგომ ვარაუდობენ სწორად დაფინანსების,

სტაჟირებების, სტიპენდიებისა და სხვადასხვა სახის პროგრამებით მათ ჩართულობას ცენტრის ახალგაზრდების ყოველდღიურობაში.

შეკითხვაზე, თუ რას შეცვლიდნენ, გააუმჯობესებდნენ საკუთარი ცენტრის საქმიანობაში უფრო წარმატებული მუშაობისთვის, წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამუშაო პროცესში შეიტანდნენ მეტ - სიახლეს, მოხალისეობას, პროგრამებს, ასევე შექმნიდნენ სასურველ გარემოს, ტექნიკურ-მატერიალურ ბაზას, ევროპის მოხალისეებთან ურთიერთობის გამყარებას, მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამების დანერგვას; ხოლო თავად საჯარო სამსახურს დაქვემდებარებულმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ უკეთესი იქნება ცენტრის ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა იყოს დაცული, არ ჰქონდეს მასზე სახელმწიფოს რაიმე სახის გავლენა, გარდა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიების შესრულებისა.

ინტერვიუს ბოლოს ვაჭამებდით ჩვენს საუბარს და ვთხოვდით მათ რეკომენდაციებსა და რჩევების მოცემას ახალგაზრდული ცენტრისთვის. ქვემოთ დანართ #1-ში შეგიძლიათ, იხილოთ რეკომენდაციების ჩამონათვალი.

ჩვენი კვლევის შედეგები, რომ შევაჯამოთ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამები და შეთავაზებები არსებობს ახალგაზრდებისათვის გორის მუნიციპალიტეტში. როგორც ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, მაინც არ არის ახალგაზრდების შესაბამისი ჩართულობა „მერვე საფეხურზე“, რაც გულისხმობს ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას. ისინი რომ იყვნენ ინიციატივის ავტორები და კარნახობდნენ მთავრობას სამოქმედო სტრატეგიას. ეს უკანასკნელი კი შეიძლება სწორედამდებ დავაბრალოთ იმ ფაქტს, რომ არასამთავრობო სექტორს ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული ის გამოწვევები და პრიორიტეტები, რაც გათვალისწინებულია ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და საქართველოს ახალგაზრდული საქმიანობის „საკვანძო ჩარჩო დოკუმენტის“ პრიორიტეტები. აღნიშნული საკითხი რეგიონში წარმოადგენს გამოწვევას, რადგან მნიშვნელოვანია, ექსპერტთა გუნდის მიერ იყოს გათვალისწინებული სამუშაო დოკუმენტში ქვეყნისთვის შემუშავებული

Commented [U2]: თუ კვლევა საჯარო არ უნდა იყოს, მაშინ ეს ნაწილი ჯობია არ გასაჯაროვდეს, რადგან აქ არის რეკომენდაციები და რჩევები მსგავსი საქმიანობისთვის და ეს წარმოადგენს „დრონი“-ს საკუთრებას.

ახალგაზრდული სტრატეგიები. აღნიშნული დაგვეხმარება ზუსტად ვიცოდეთ, რეგიონის დონეზე არსებული გამოწვევები. ასევე აღსანიშნავია, ახალგაზრდულ მუშაკთა ჩართულობაზე მოთხოვნა, რომელიც ინტერვიუს სტრუქტურიდან დამოუკიდებლად შემოიტანეს რესპონდენტებმა და აღნიშნეს, ამ ინსტიტუტის გაძლიერებისათვის და ახალგაზრდული საქმიანობის განსავითარებლად მათი ჩართულობის როლის ზრდა ახალგაზრდულ საქმიანობაში. საერთო ჯამში, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული რეკომენდაციების პაკეტი იძლევა საინტერესო მითითებებსა და რჩევებს ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობის დადებითად ფუნქციონირებისათვის და ახალგაზრდებთან სწორი დიალოგის დასამყარებლად.

❖ ფოკუს ჯგუფის ანგარიში

ახალგაზრდული ცენტრის შექმნისთვის ჩატარებულ წინა კვლევაში მესამე სახის კვლევის მეთოდი იყო ფოკუს ჯგუფის შეხვედრები, სადაც უკვე უშალოდ ახალგაზრდებს ვხვდებოდით და მათ გამოცდილებას ვიზიარებდით. მკვლევარის მიერ შემუშავებული, ნახევრად სტრუქტურირებული, კითხვარის საშუალებით ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი 14-29 წლის სამ ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებთან - 14-18; 19-29 და 14-29; სამივე ჯგუფისთვის შერჩეულნი იყვნენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც მინიმუმ ბოლო ერთი წლის განმავლობაში იყვნენ, ან არიან, რომელიმე ახალგაზრდული კლუბის, ცენტრის, საინიციატივო ჯგუფის ან პროგრამის მონაწილეები. აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდები შეირჩნენ ფენომენოლოგიური კვლევის დიზაინის მოთხოვნიდან გამომდინარე, რადგან კვლევისას გვჭირდებოდა მათი გამოცდილების შესწავლა და მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდგომ, სამომავლოდ დაგვეწყო ფიქრი ახალგაზრდული ცენტრის შესახებ, მის ყველა ასპექტში. ახალგაზრდებთან საუბარი შეეხებოდა მათ აქტივობებს სხვადასხვა პროგრამებში, რა მოსწონდათ, ან რა არ მოსწონდათ, როგორი ცენტრის შექმნა სურდათ, რა საჭიროებები გააჩნდათ და რის გაკეთებას

შეძლებდნენ შესაბამისი ხელშეწყობის შედეგად. შეხვედრების ბოლოს ახალგაზრდები მუშაობდნენ სარეკომენდაციო პაკეტზე, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ დანართი #2-ის სახით.

კვლევამ მოგვცა საშუალება და შესაძლებლობა, რომ შეგვესწავლა ახალგაზრდების ქცევა თავისუფალ დროს, თუ რას საქმიანობდნენ და რით იყვნენ დაკავებულნი. საკვლევ ჯგუფებში მხოლოდ ის განსხვავება გამოიკვეთა, რომ სკოლის მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა რეპეტიტორთან სიარული დაგვისახელა, ხოლო საერთო ჯამში გამოკითხული ახალგაზრდები ძირითადად დაკავებულნი არიან სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის კითხვითა და ფილმების ყურებით. ასევე თავისუფალი დროის დიდ ნაწილს უთმობენ მეგობრებთან დროის გატარებას, სპორტულ აქტივობებს და არაფორმალურ განათლებას. ინტერვიუს განმავლობაში საინტერესო იყო ხელისშეწყობი ან შემშლელი ფაქტორების გამორკვევაც, რაც თავისუფალი დროის პროდუქტიულად გამოყენებაზე ახდენს გავლენას და პირველ ადგილზე ახალგაზრდებმა დაგვისახელეს შესაბამისი სივრცის არ არსებობა, რაიონში გადაადგილებისას ტრანსპორტის პრობლემა, რასაც შემდგომ მოაყოლეს საკუთარი თავის სიზარმაცეც და თანამედროვე (სოციალური ქსელები, კომპიუტერული მოწყობილობები და ა.შ.) გამოწვევები. თუმცა მიუხედავად ამისა მოტივაცია და მეგობრებთან შეხვედრის მოლოდინი მაინც უწყობს ხელს საქმის კეთებასა და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას. რაც შეეხება უშუალოდ იდეალურ თავისუფალ დროს, რომელიც რესპონდენტთა მცირე ნაწილს არ ჰქონია, დიდი ნაწილი გვისახელეს მეგობრების წრეში მის გატარებას, მუსიკის მოსმენასა და წიგნების კითხვას, ანუ სრულ დასვენებასა და განტვირთვაზე მიმართული აქტივობებით შემოიფარგლებიან. ძირითადად. მხოლოდ რამოდენიმე, ინდივიდუალურ დონეზე, ახერხებს შემოქმედებითი სახის აქტივობების განხორციელებას თავისუფალ დროს, რაც დამატებით უცხო ენის შესწავლის, ხატვის, ან პროფესიული ორიენტაციისთვის დამატებითი აქტივობებს გულისხმობს, თუმცა ეს მაჩვენებელი ძალიან მცირეა და შეიძლება ითქვას მისი წილი 1/3-ია. მიუხედავად გამოკვეთილი ამ არც თუ ისე სახარბიელო მონაცემებიდან, ახალგაზრდებს კვლევის შემდგომ ნაწილში ვთხოვეთ, რომ დაესახელებინათ, რისი

კეთების სურვილი გააჩნიათ რეალურად თავისუფალ დროს და აღმოჩნდა, რომ მათ უმეტესობას სურს ჩართული იყოს სხვადასხვა პროექტების აქტივობებში და რეგულარულად იყვნენ დაკავებული ამ საქმიანობით, რასაც თავიანთი პიროვნული განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიიჩნევენ, ხოლო მეორე ნაწილს ლაშქრობები და შემეცნებითი სახის გასვლითი აქტივობები სურს, რაც ექსპერტული ინტერვიუს დროს გამოვლენილ პრობლემაზე პირდაპირ მიგვანიშნებს, სადაც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ (გამოცდილ) ახალგაზრდებს მოგებრდათ ფორმალური სახის ტრენინგები, ერთსა და იმავე სივრცეში ყოფნა, ამიტომ ყოველთვის გამოირჩევა მაღალი აქტივობებით გასვლითი ღონისძიებები. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ იმ არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებლებს, ამ შემთხვევაში პირიქით, თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს სურვილი თავისუფალი დროის შემოქმედებითად გამოყენებისა. უმაღლეს საკუთარი შესაძლებლობები კი ახალგაზრდებმა კულტურულ და მოხალისეობრივ კლასიფიკაციაში შეიყვანეს, რისი კეთების უნარიც ნამდვილად გააჩნიათ, თუმცა ასევე შესამჩნევი იყო შემოქმედებითი წერისა და სპორტული შესაძლებლობების უნარი.

კვლევის დოკუმენტის „არსებული სიტუაციის“ მიმოხილვაში ვისაუბრეთ რამოდენიმე „მძლავრ“ არასამთავრობო ორგანიზაციაზე, თუმცა ახალგაზრდებმა გაცილებით მეტი, ოცდაოთხი (24) ახალგაზრდული ორგანიზაცია თუ საინიციატივო ჯგუფი დაგვისახელეს, სადაც აქტიურად არიან ჩართულნი, თუმცა ძირითადად მაინც ახალგაზრდებს ინფორმაცია აქვთ „ლიდერთა ლიგის“, „მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის“, „საზოგადოება ბილიკის“ და „ქართლოსის“ აქტივობების შესახებ, ხოლო სხვა ორგანიზაციები ძალიან მცირე სიხშირით დასახელდნენ.

საკმაოდ მრავალფეროვანი დებატები გამოიწვია ახალგაზრდული ცენტრის მნიშვნელობის აღქმამ ახალგაზრდებში და ყველა ფოკუს ჯგუფთან ამ მხრივ საკმაოდ ნაყოფიერი დისკუსია მოეწყო. თუმცა სამივე ჯგუფზე თანხმდებოდნენ, რომ მნიშვნელოვანია ცენტრმა გაითვალისწინოს ახალგაზრდების ინტერესები, ჩაატაროს მათთან სხვადასხვა სახის გამოკითხვები, რათა მაქსიმალურად იყოს თვითოეული

წვერის ინტერესი დაცული და გათვალისწინებული. ასევე ერთხმად თანხმდებოდნენ, რომ ახალგაზრდამ უნდა შეძლოს საკუთარი თავის, შესაძლებლობების რეალიზება, რისთვისაც მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ტექნიკური რესურსები. ცენტრს უნდა ჰქონდეს ამ მხრივ მუშაობის ინტერესი, რომ შემდგომ ხელი შეუწყოს ახალგაზრდების დამოუკიდებლად მუშაობას. ანუ უნდა არსებობდეს ცენტრში თავისუფალი სივრცე, სადაც დამოუკიდებლად სწავლისა და პრობლემის შესაძლებლობა მიეცემათ ახალგაზრდებს - „კარგი იქნება თუ მოხუცი ბებო არ დაგვადგება თავს და არ გვიჩიჩინებს ეს ასე გააკეთე და ასე იქნება უკეთესი“-ო გვეუბნება ერთ-ერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილე. ამავე ნაწილში ძალიან სუსტად გაიჟღერა აზრმა, რომ ცენტრი უნდა ცდილობდეს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ე.წ. „NEET თაობის“ გააქტიურებას და ცენტრის აქტივობებში ჩართვას, რასაც უკვე შემდგომ დისკუსიებში მოჰყვა განვითარება.

ახალგაზრდების არც თუ ისე მაღალი სამოქალაქო აქტივიზმის ფონზე, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ის ფაქტორები, რაც ახალგაზრდების ყურადღებას მიიქცევს ახალგაზრდულ ცენტრში და მიიზიდავს მათ. თითქმის ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ ცენტრში დააინტერესებდა ახალგაზრდების მუშაობის და აქტივობების ხარისხი და ასევე მათი ჩართვის რაოდენობა, რადგან, როგორც აღნიშნეს, მომხმარებელთა რაოდენობა განსაზღვრავს მათ ხარისხს¹² და შესაბამისად, ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი. შემდგომ უშუალოდ საუბრობდნენ უკვე თავისუფლების შესახებ, რაც ცენტრმა მათ უნდა მისცეს და რაც უნდათ რომ მიიღონ/იგრძნონ ცენტრისგან. თავისუფლებაში კი ძირითადად მოიაზრებდნენ შემოქმედებით, შეკრების, გამოხატვის და ქცევის თავისუფლებას, რასაც თავისთავად მისცემს ცენტრის სივრცე და შეძლებენ გამოიყენონ ცენტრი შემოქმედებითად, განვითარდნენ პიროვნულად და შეძლონ ახალგაზრდული სივრცის სრულად ათვისება. ინტერვიუს ამ ნაწილში კი დავინტერესდით უფრო სიღრმისეულად მათი შესაძლებლობების შესახებ, თუ რის გაკეთებას შეძლებდნენ ცენტრისგან რეალური ხელშეწყობისას და 1/2 -ზე მეტმა დაგვისახელა, რომ ახალგაზრდების ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებდა, ხოლო მეორე

¹² მკვლევარის შენიშვნა

ნაწილი შეეცდებოდა სკოლებამდე და სკოლის მოსწავლეებამდე მიეტანა ცენტრის შესახებ ინფორმაცია, რათა აემადლებინა მოსწავლეთა მოტივაცია და გაეზარდა მათი სურვილი სამოქალაქო აქტივიზმში ჩასართავად, რადგან როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს - „სკოლებში თითქმის არაფერი ხდება, მხოლოდ გაკვეთილები და მეტი არაფერი, საერთოდ მკვდარია სიტუაცია არაფორმალური განათლების მხრივ“. ამ საკუთს კი მოაყოლეს ე.წ. „NEET თაობის“ ჩართვის სურვილიც და აღნიშნეს, რომ ასეთი ახალგაზრდებიც და ისინიც, ვინც არ არიან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონენი ხშირად არიან მოტივირებულნი ახალგაზრდულ აქტივობებში ჩასართავად, მაგრამ მეორე მხრივ არ არის შესაბამისი შესაძლებლობა და გამოცდილება, რომ იმუშაონ მათთან და ისინიც აქტიურად ჩართონ სხვადასხვა აქტივობებში - „ძირითადად მხოლოდ ერთიდაიგივე აქტიური ბავშვები ვართ ჩართულნი“. ინტერვიუს ამ მონაკვეთში რესპონდენტმა მკვლევარსაც კი „შეუტია“ - „რადგან თქვენც ასევე მოიქცით და ნაკლებად აქტიურ ბავშვებს არ ეკითხებით მათ რა სურთ“-ო. თუმცა კვლევის დიზაინიდან გამომდინარე კვლევის ამ ეტაპზე ვერ მოხერხდებოდა პასიური ახალგაზრდებთან ინტერვიუების აღება, რომლის მიზნაც ასწილია კვლევის დიზაინსა და ვალიდობის ნაწილში. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ქმედება გამოიკვეთა - დასუფთავების აქციები და ამ მხრივ საკმაოდ ბევრი აქტივობა გაიხსენეს ახალგაზრდებმა, თუმცა აღნიშნული თემის გაშლა არ წარმოადგენს კვლევის ინტერესს და შესაძლოა დამატებით სხვა დროს მასზე საუბარი, თუნდაც ცენტრის აქტივობების დაგეგმვისას.

ახალგაზრდული ცენტრის გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებით შეტანილი კითხვა მიზნად ისახავდა, რომ რესპონდენტებისათვის განტვირთვის საშუალება მიგვეცა მცირე ხნით. აღნიშნულ შეკითხვაზე ყველა ჯგუფმა გუნდურობა აჩვენა და ერთმანეთზე ზრუნვა გამოავლინა, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ ცენტრი უნდა იყოს ისეთ ადგილას, რომელიც ყველასთვის იქნება მოსახერხებელი და მისცემს ყველას თანასწორობის შეგრძნების საშუალებას, თუმცა საბოლოოდ, ამ მხრივ ორ ნაწილად გაიყო შედეგები, 5/3 მიიჩნევს, რომ ცენტრი უნდა მდებარეობდეს ქალაქის ცენტრში, რადგან ის ქალაქის ყველა წერტილიდან თანაბარი მანძილითაა დაშორებულ და რიონში მცხოვრები

ახალგაზრდებიც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეძლებდნენ მისვლას, ამისთვის კი ორი ლოკაცია დაგვისახელეს, კერძოდ სტალინის გამზირი და წერეთლის ქუჩა. 5/2 მიიჩნევს, რომ კარგი იქნება, თუ ცენტრს ექნება ეზო, რომელიც იქნება გამწვანებული და შესაძლებლობას მოგვცემს არაფორმალურ გარემოში ტრენინგებისა და აქტივობების ჩატარებისას, ამისთვის კი კარგი იქნება გორის კულტურისა და დასვენების პარკის „ახალბაღის“ ტერიტორიაზე განთავსდეს, რაც ასევე არის ქალაქის ცენტრალური ნაწილი და მისი მდებარეობა შეესაბამება რესპონდენტთა მოსაზრებებს და ინტერესს, ასევე მისი მწვანე ბუნება იძლევა საშუალებას ეკოლოგიურად სუფთა და „მწვანე ეზოიან“ გარემოში მდებარეობდეს ცენტრი. რომლის სამუშაო საათიც ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა განსაზღვრა საღამოს შვიდ-რვა (19:00-20:00) საათამდე და მეორე ნაწილმა საღამოს თერთმეტ-თორმეტ (23:00-00:00) საათამდე. აღნიშნული შეხედულება ჩამოუყალიბდათ იქიდან გამომდინარე, რომ გაითვალისწინეს 18-29 წლის ახალგაზრდების სტუდენტური და სამუშაო ცხოვრება და იფიქრეს, რომ სამსახურის ან სასწავლებლის შემდეგ მათაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ცენტრით სარგებლობის, რადგან დაცული იყოს თანასწორობის პრინციპი. ასევე ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები აღნიშნავდნენ, რომ მიეცემათ შესაძლებლობა, საღამო უფრო აქტიურად, ნაყოფიერად და საინტერესოდ გაატარონ ცენტრში, ვიდრე სტანდარტულად - სახლში ყოფნითა და წიგნების კითხვით ან სოციალური ქსელების სარგებლობით დაკარგონ დრო. გარდა ამისა, მათი დისკუსია შეეხო ცენტრის განტვირთვასაც, კერძოდ, რაიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის რომ არ შეეშალათ ხელი ქალაქში მცხოვრებთ - „რაიონში მცხოვრებნი ძირითადად საღამოს ექვს (6) საათამდე იქნებიან ცენტრის მომხმარებლები და შეძლებენ აქტიურად გამოიყენონ მისი სივრცე, ხოლო ქალაქის ახალგაზრდები უფრო საღამოს საათებით ისარგებლებენ, რათა ხელი არ შეუშალონ რაიონიდან ჩასულ ახალგაზრდებს. ასევე, ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ცენტრი არ გადაივსოს ახალგაზრდებით და ყველამ შეძლოს ცენტრით სარგებლობა“ აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა საუბრობდა ცენტრის მრავალფუნქციურობაზე და აღნიშნავდნენ, რომ ყველა ახალგაზრდას უნდა მიეცეს

საშუალება იზოვოს საკუთარი თავი და თავიანთი ინტერესების მიხედვით შეძლონ შესაბამისი კომპეტენციების განვითარება. ამ მხრივ კი უმრავლესობა ვერ გამოყოფდა კონკრეტული სახის აქტივობებს, რაც ცენტრში უნდა იმართებოდეს და საუბრობდნენ, რომ ახალგაზრდების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა შერჩეულიყო შესაბამისი თემატიკა, თუმცა ნაწილმა შეძლო და გამოყო კულტურული სახის აქტივობები და ასევე შესაბამისი ტრენინგ-მოდულები, რომელიც იქნება შედეგზე ორიენტირებული და არა „ტრენინგი ტრენინგისთვის“, რასაც ძალიან ხშირად ახსენებდნენ ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი სასკოლო ასაკის ახალგაზრდები. თავად აქტივობებისა და სატრენინგო მოდულების პრიორიტეტულობას რაც შეეხება, ახალგაზრდები დარგობრივი მიმართულებების განვითარებას გვისახელებდნენ უპირველეს პრიორიტეტად, რომელიც გულისხმობს მაგალითად, პროგრამირების შესწავლას, ასევე რომელიმე პროფესიის დაუფლებას თუნდაც ფოტოგრაფია, ვიდეო გადაღება, მონტაჟი და ა.შ. შემდგომ უკვე არაფორმალური განათლებას გვისახელებდნენ, ასევე ახალგაზრდების ინტერესებიდან გამომდინარე გვირჩევენ პრიორიტეტები დაგველაგებინა მათი სურვილიდან გამომდინარე. ხოლო ფორმალურ განათლებას აყენებდნენ მეოთხე პრიორიტეტულ ადგილზე და გვირჩევენ, რომ პროგრამები და აქტივობებიც დალაგებულიყო მარტივიდან რთულისკენ. კერძოდ, ცენტრის აქტივობები დაგვიწყობს მარტივი აქტივობებით და შემდგომ ნელ-ნელა გადავიდეთ უკვე რთულ ეტაპებზე.

მიმდინარე დისკუსიისა და ზემოთ გავლილი გზის შემდგომ საინტერესო იყო, რა პრინციპი და ბაზისი ედო მათ შეხედულებებს, ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია ახალგაზრდულ საქმიანობაზე, მის პოლიტიკაზე, ახალგაზრდულ კომპეტენციებზე და ა.შ. თუმცა, აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურმა უმრავლესობამ, არ იცოდა საქართველოსა და რეგიონის ახალგაზრდულ პოლიტიკის დოკუმენტზე, გაგონილიც კი არ ჰქონდათ და ის რამოდენიმე ადამიანიც, რომლებმაც „იცოდნენ“ ამ დოკუმენტის შესახებ, მხოლოდ ზედაპირულად ფლობდა ინფორმაციას. კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტს კი რაც შეეხება, როგორც არასამთავრობო სექტორის ნაწილს ჰქონდა ზოგადი წარმოადენა იმის შესახებ, ასევე

ახალგაზრდების შეიძლება ითქვას, 100-მა პროცენტმა არ იცოდა მის შესახებ და ინტერვიუს მსვლელობისას მკვლევარისგან შეიტყვეს. მკვლევარმა ძირითადი კომპეტენციები რამდენიმეჯერზე წაუკითხა ახალგაზრდებს და სთხოვა გამოეთქვათ აზრი, თუ რომელი კომპეტენცია უფრო მნიშვნელოვანი იყო მათთვის, ანუ რომელი კომპეტენციების განვითარებაზე უნდა ემუშავა ცენტრს, რომელთაგანაც ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას, შემდგომ კულტურული გამოხატვისა და კულტურათმშორისი ურთიერთობების კომპეტენციას, ჯანმრთელობის დაცვისა, ჯანსაღი ცხოვრებისა და ურთიერთობის კომპეტენციას. არც ერთ რესპონდენტს არ დაუსახელებია დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია და სამეწარმეო ინიციატივა, რაც ჩემთვის, როგორც მკვლევარისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო შემთხვევას, არ გავამძაფრებ სიტუაციას თუ აღვნიშნავ რომ „სამაშველო/განგაშის“ სიგნალს იძლევა ეს მონაკვეთი და წარმოადგენს ცალკე კვლევის საგანს, რასაც ახალგაზრდული ცენტრის დაფუძნების შემთხვევაში და ზოგადად სახელმწიფო თემით დაინტერესებული სუბიექტების მხრიდან უნდა მიექცეს შესაბამისი ყურადღება. ამ პრობლემიდან გამომდინარე შეგვიძლია ავხნათ ექსპერტების მიერ ორი „ბიზნეს სკოლის“ მონაწილე ახალგაზრდების საკვირველი პასიურობა, რომლის მიზეზსაც ვერ ხსნიან ჩვენთან საუბრისას ექსპერტები.

ცენტრის მისიასთან დაკავშირებით ძირითადად აქაც ორ ჯგუფად გაიყო მოსაზრებები და ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მან უნდა შეძლოს ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზება და უნდა დაეხმაროს მათ თავდაჯერებულობის მიღწევაში, განვითარებასა და წინსვლაში. ხოლო მეორე ნაწილი ახალგაზრდების განვითარებას მიიჩნევს ძირითად მისიად, რაც ჩემი აზრით, პირველის შედეგებიდან და სამუშაო პროცესიდან თავისთავად გამომდინარეობს. სხვა, შედარებით მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა გუნდურობის მისიას და ახალგაზრდების ერთ გუნდათ შეკვრას. ასევე პოზიტიური ცვლილებების მისიას აკისრებენ ახალგაზრდულ ცენტრს გამოკითხული რესპონდენტები. სხვა ახალგაზრდული ცენტრისგან თუ ორგანიზაციებისაგან ცენტრს, ახალგაზრდების მოსაზრებით, უნდა გამოარჩევდეს მისი მრავალპროფილურობა, საინტერესო და მრავალფეროვანი ტრენინგები,

რომელშიც გაერთიანებული იქნება დარგობრივი სახის სპეციფიკური ტრენინგ მოდულები. ასევე ახალგაზრდების ინტერესების პოვნა და მათი შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა მიაჩნიათ განმასხვავებელ ნიშნად სხვა ცენტრებისგან.

საინტერესო იყო ახალგაზრდების მოსაზრება აქტივობების სიხშირესა და მათ მიერ დასათმობი დროის შესახებ, მაშინ როდესაც მათი თავისუფალი დრო თითქმის სრულად დაკავებულია¹³. რესპონდენტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ცენტრი კვირაში სამ-ოთხჯერ უნდა ატარებდეს გარკვეული სახის აქტივობებს - ღონისძიებებს, შედარებით მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ ყოველდღიურად ან კვირაში ორჯერ, ასევე შედარებით მცირე ნაწილი მიიჩნევს რომ კვირაში „ერთი კარგი“ საჭარო აქტივობა იქნებოდა მისაღები, უფრო ნაყოფიერი და შესაბამისად, მაღალი ხარისხის გამოვიდოდა. ასევე ახალგაზრდების დიდი ნაწილი საკუთარი თავისუფალი დროიდან გამომდინარე ვარაუდობს, რომ ცენტრისთვის ნებისმიერი დროისა და საათის დათმობა შეეძლება, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ კვირაში ექვსი საათის დათმობა შეუძლიათ საშუალოდ.

ინტერვიუს ბოლოს ახალგაზრდებს ვეკითხებოდით უკვე ცენტრის პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა იყოს ჩართული და როგორ უნდა ჰქონდეთ როლები გადანაწილებული. შეკითხვისას მიეწოდებოდათ სავარაუდო ვარიანტებიც, ეს იყო თავად ახალგაზრდული ცენტრი, თავად ახალგაზრდები, მუნიციპალიტეტი და ბიზნეს სექტორი, სადაც აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ერთობლივ ჩართულობას, რა თქმა უნდა, თუ ბიზნესი ჩაერთვება და გატეხავს ნაფსს, როგორც იტყვიან. ახალგაზრდები, მომხრე არიან ყველა თანასწორად და ერთნაირად იყოს ჩართული, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი არ უნდა ეროდეს და თავისუფალი უნდა იყოს ცენტრი სახელმწიფო გავლენისგან, მხოლოდ შეიძლება მისგან დაფინანსების მიღების გამო იყოს თანამშრომლობა და არამც სხვა რაიმე მიზეზით. ბიზნეს სექტორს რაც შეეხება, მის შესახებ დამატებით ცალკე დაისვა შეკითხვა, სადაც ახალგაზრდები მიესალმებიან მათ ჩართულობას და აღნიშნავენ, რომ ყველაფერი

¹³ სარკაზმული შენიშვნა

უნდა ხდებოდეს საზღვრებისა და ნორმის ფარგლებში, რადგან მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა იყოს ზომიერი, ურთიერთ სარგებლის მომტანი და ძირითადად ცენტრის, პროექტებისა და კამპანიების დაფინანსებაზე იყოს ორიენტირებული. ასევე დასაქმებისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, საუკეთესო პარტნიორად მიაჩნიათ ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა. კვლევის დასასრულს რესპონდენტებს ვთხოვდით გამოეთქვათ საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები ახალგაზრდულ ცენტრთან დაკავშირებით, რომელიც დამუშავდა და შედგა სარეკომენდაციო პაკეტი (იხ. დანართი #2).

რომ შევაჯამოთ ჩვენი კვლევა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები მუდმივად იმეორებდნენ კვალიფიციურ და გამოცდილი კადრების ჩართულობას ცენტრის საქმიანობაში, რაზეც პარალელი შეგვიძლია გავავლოთ ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე. რაც გამოიხატება ასევე ახალგაზრდების საჭიროების მოთხოვნიდან გამომდინარე, კერძოდ, ახალგაზრდები ძალიან ხშირად უსვამდნენ ხაზს საკუთარ ინტერესებს, მათ ინტერესების მიხედვით მუშაობას, რაც ასევე იძლევა სიგნალს იმისას, რომ მათ აკლიათ საკუთარი ინტერესების მიხედვით მუშაობა და მათთვის შეთავაზებული აქტივობები ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს მათ ცნობისმოყვარეობასა და ინტერესებს. აღნიშნული კი კვლავ ხაზს უსვამს ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერას რეგიონში, რადგან ახალგაზრდული საქმიანობა შეეხება ახალგაზრდების ინტერესების გამოვლენასა და მათი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას, რაც ნამდვილად საფუძვლიანი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს პროფესიონალების მხრიდან. სამივე საკვლევ ჯგუფს წითელხაზად გასდევდა სიტუაცია „ტრენინგი ტრენინგისთვის“, რაზეც საუბრობდნენ, რომ - „ამოგვივიდა ყელში დემოკრატიაზე ტრენინგი, გავიგეთ რომ ათენიდან მოდის და კარგია, მაგრამ პრაქტიკაში არ გვანახებენ, არ ვიცით პრაქტიკაში როგორია, ამიტომ გვინდა, რომ ტრენინგი იყოს მრავალფეროვანი და აქტივობებით დატვირთული და არა მოსაწყენი“, რასაც კვლავ ხარისხიანი არაფორმალური განათლების საჭიროებისკენ მივყავართ.

საკმაოდ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ახალგაზრდებში ისეთი სივრცის შექმნა, სადაც მათ შეეძლებათ შეიკრიბონ თავისუფლად, ჰქონდეთ თავისუფალი გარემო, ისეთი, სადაც შეძლებენ დსვენებას, გართობას, აქტივობების დაგეგმვას, წიგნის წაკითხვას, მუშაობას და ა.შ. ანუ ჰქონდეთ სივრცე სადაც გამოავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს, განივითარებენ კომპეტენციებს და ექნებათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების შესაძლებლობა.

კვლევის მიგნებები

ფოკუს ჯგუფის კვლევისას საკმაოდ საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინეთ, რომელიც ექსპერტული კვლევისას გამოვლენილ პრობლემას ხსნის თავისთავად. კერძოდ, კი ეს შეეხება ახალგაზრდების სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებაზე დაბალ ინტერესს. ფოკუს კვლევისას არც ერთ რესპონდენტს არ დაუსახელებია დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია და სამეწარმეო ინიციატივის კომპეტენცია, რაც ჩემთვის, როგორც მკვლევარისთვის, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო შემთხვევას, არ გადავაჭარბებ სიტუაციას, თუ აღვნიშნავ, რომ „სამაშველო/განგაშის“ სიგნალს იძლევა ეს მონაკვეთი და წარმოადგენს ცალკე კვლევის საგანას, რასაც ახალგაზრდული ცენტრის დაფუძნების შემთხვევაში და ზოგადად, სახელმწიფო და თემით დაინტერესებული სუბიექტების მხრიდან უნდა მიექცეს შესაბამისი ყურადღება.

✓ მკვლევარის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ახალგაზრდული ცენტრის დაფუძნების წინ, რამოდენიმე თვით ადრე რეკომენდირებული იქნება ფორუმის ან კონფერენციის მოწყობა რეგიონის მასშტაბით, სადაც მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების ყველა ინსტანცია და

ფენა, იქნება პანელური მუშაობა, რომელიც ძალიან კარგ შედეგებს მოგვცემს ცენტრის წარმატებულად ფუნქციონირებისათვის;

- ახალგაზრდულმა მუშაკებმა ცენტრის გახსნის წინ, რამდენიმე თვით ადრე მაინც უნდა ჩაატარონ სამუშაოები ახალგაზრდებთან მათი ინტერესების გამოსავლენად და შესასწავლად, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ცენტრის რამდენიმეწლიანი სამუშაო პროფილის ან სტრატეგიის განსაზღვრა;
- რეკომენდირებული იქნება ცენტრს გააჩნდეს საკუთარი სოციალური სანარმო, რომელშიც იქნება თანამშრომლობა ბიზნეს სექტორთან და მოხდება სხვადასხვა კომპეტენციების განვითარება ახალგაზრდებთან, განსაკუთრებით კი სამეწარმეო კომპეტენციის;
- რეკომენდირებულია ცენტრს ჰქონდეს საკუთარი მედიათეკა, შესაკრებელი თავისუფალი სივრცე და კომპიუტერული ტექნიკა სამუშაოდ;
- ახალგაზრდებს ესაჭიროებათ მეტი პრაქტიკული ქეისები, როგორც ტრენინგის განმავლობაში, ასევე ზოგადად;
- ახალგაზრდებს ესაჭიროებათ სიმულაციური თამაშები სხვადასხვა თემატიკებზე;
- ახალგაზრდები მუდმივად აპელირებენ კვალიფიკაციური ტრენინგებისა და ახალგაზრდული მუშაკების ყოფნას ცენტრში.

საბოლოოდ, რომ შევაჯამოთ ორივე კვლევა, თითქმის სრულ თანხვედრაში მოდის სამოქალაქო სექტორის პრობლემები და გამოწვევები ფოკუს ჯგუფზე გამოვლენილ პრობლემებთან და გამოწვევებთან. ორივე კვლევისას საერთაშორისო სახის აქტივობებზე კეთდებოდა აქცენტი. გაცვლით პროგრამებზე, რომლებიც ემსახურებიან საერთაშორისო სახის შეხვედრების მოწყობას. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა კარგად შეძლონ ინტელკულტურულ აქტივობებში ჩართვა, რაც მეტად შეუწყობს ხელს ევროკავშირთან ინტეგრაციას, სხვადასხვა კულტურების შესაწავლასა და პატივისცემის გაღრმავებას, განსხვავებული აზრის მოსმენასა და გამოხატვის თავისუფლებას. ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია, ასევე, საერთო სივრცის არსებობა, სადაც ისინი თავისუფლად შეძლებენ შეკრებას და ერთმანეთისთვის აზრების გაცვლას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს

ურთიერთობების განვითარებას, პატივისცემასა და სამოქალაქო ატივიზმში ჩართვას. ახალგაზრდებს ძირითადად აწუხებთ ინფორმაციის ნაკლებობა, მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორი საუბრობს სკოლებთან ურთიერთობაზე, მაინც არ აქვთ ახალგაზრდებს საკმარისი ინფორმაცია, რისი გამომწვევი მიზეზიც, ვარაუდის დონეზე, შესაძლოა იყოს ის, რომ კონკრეტულ ორგანიზაციას აქვს ურთიერთობა კონკრეტულ სკოლებთან, რაც ახალგაზრდებში ზღუდავს საინფორმაციო ჩარჩოს და მხოლოდ იმ ორგანიზაციის აქტივობებზე აქვთ ინფორმაცია. ახალგაზრდულმა ცენტრმა უნდა შეძლოს და ეს ჩარჩო მოშალოს, ახალგაზრდებს უნდა მიაწოდოს ამომწურავი და ვრცელი ინფორმაცია ყველა ახალგაზრდულ პროექტსა თუ აქტივობებზე და მათ მისცეს არჩევანის თავისუფლება. თავად უნდა მიიღონ ახალგაზრდებმა გადაწყვეტილება რომელი ორგანიზაციის და რა სახის აქტივობაში ჩაერთონ, რაც მათ დამოუკიდებლად სწავლისა და ძიების კომპეტენციას გააუმჯობესებს, რისი მაჩვენებელიც კვლევაში საკმაოდ დაბალია. აღნიშნული მეთოდის საჭიროებას ისიც უსვამს ხაზს, რომ ჩვენ თაობაში დაღეწილი წარსული, სოციალიზმის ცნობიერება უნდა მოიშალოს, რაც ვლინდება არჩევანის შეზღუდვასა და გამზადებულის მიწოდებაში, ეს კი მნიშვნელოვნად აზიანებს მომავალი თაობის ცნობიერებას და არ ასწავლის მათ „თევზის ჭერას“, მნიშვნელოვანია, რომ ცენტრმა „კი არ მისცეს გამზადებული თევზი, არამედ ასწავლოს მისი დაჭერა“¹⁴. ეს ყოველივე კი გავლენას იქონიებს კლევის შედეგად გაკეთებულ მიგნებაზე, სადაც ახალგაზრდებს არ აინტერესებთ სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება. მსგავსი სახის პროექტები ყველაზე დაბალი პოპულარობით სარგებლობს მათში. ახალგაზრდებისთვის იმის შეგრძნება, რომ ისინი არიან თავსუფალნი არჩევანსა და საკუთარი ინტერესების მიხედვით შრომაზე, შეეძლებათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი ინტერესები და იმუშაონ საკუთარი კომპეტენციების განვითარებაზე, ეს კი მათ დამოუკიდებლად სწავლების საჭიროებასა და „თევზის ჭერის სწავლის“ სურვილს გაუჩნდს.

თავად სექტორთა შორის თანამშრომლობას რაც შეეხება, ვგულისხმობთ აქ არასამთავრობო, სამთავრობო, ბიზნეს და ახალგაზრდულ სექტორებს, უნდა

¹⁴ ჩინური ანდაზა

აღინიშნოს, რომ არასამთავრობო და მუნიციპალური სექტორი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობენ და ეს აისახება როგორც ექსპერტული კვლევისას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტების ანგარიშშიც (იხ. დანართი #3). თავად ბიზნეს სექტორს რაც შეეხება ეს საკმაოდ დელიკატური საკითხია, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისათვის, ასევე სახელმწიფო და ახალგაზრდული სექტორისათვის, თუმცა ყველა მათგანი მიესალმება ბიზნესის ჩართვას სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით და ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებელ წყაროდ განიხილავენ ახალგაზრდული ცენტრისთვის, თუმცა არა მხოლოდ დაფინანსების კუთხით, არამედ სტაჟირებისა და სხვადასხვა სასწავლო მიმართულებებით. თავად ახალგაზრდობას რაც შეეხება, იმ ბიუჯეტის თვალსაზრისით, რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია ამ კუთხით და ასევე აქვს ახალგაზრდულ ცენტრს, საკმაოდ ნორმალურია, რადგან რეალურად, საქმის გასაკეთებლად იხარჯება იმ თანხის დიდი ნაწილი, რა მიზერული თანხაც გამოყოფილია ახალგაზრდებისათვის. მიუხედავად ამისა, როგორც ახალგაზრდული ცენტრის, ისე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები საუბრობენ ფინანსური სახსრების სიმწირეზე და სწორედ ფინანსურ სახსრებს ასახელებენ საჭირო რესურსებში პირველ ადგილზე. შესაბამისად, ასეთ რთულ ვითარებაში ახალგაზრდული სექტორის აქტიური ჩართულობა, ისეთი როგორიც სურთ თავად ახალგაზრდებსა და ზემოთ აღნიშნულ სექტორებს ვერ მიიღწევა, ცალკეული შემთხვევების გარდა. ამაზე მიუთითებს თავად ფოკუს ჯგუფზე გამოვლენილი საკითხი, სკოლებთან დაბალი თანამშრომლობისა და მეტნაკლებად აქტიური ახალგაზრდების ჩართვა ახალგაზრდულ პროექტებში, რაც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური სიმწირის ნაკლებობას - რაც უფრო ნაკლებია ფინანსური რესურსი, მით ნაკლებია ახალგაზრდების ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდულ მუშაკებს ნულოვანი რესურსების გამოყენებით ეძლევათ საშუალება აქტივობების განხორციელებისათვის¹⁵, ეს მაინც არ არის გავრცელებული და დახვეწილი სამუშაო მოდელი საქართველოში და ღღეს ყერება საფუძველი ამ ინსტიტუტს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გამოწვევებისა, იმედის მომცემია არასამთავრობო და

¹⁵ ახალგაზრდულ მუშაკთა სერტიფიცირების საპილოტე პროგრამა - მკვლევარის შენიშვნა

სამთავრობო სექტორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ახალგაზრდული მიმართულებით და კარგი იქნება, მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფა ახალგაზრდებისათვის, რათა გაცილებით ფართო აუდიტორიის ჩართვა იყოს შესაძლებელი, ხოლო ბიზნეს სექტორის ჩართვა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ახალგაზრდებში რიგი კომპეტენციების განვითარებას, ვიდრე ეს ამჟამად მიმდინარეობს.

საკვლევ შეკითხვებს რაც შეეხება, რომელებიც ამ ნაშრომის მე-10 გვერდზეა წარმოდგენილი, ვფიქრობ, საკმაოდ ამომწურავად გაეცა პასუხი როგორც კვლევის ანგარიშებში, ასევე მის დასკვნით და შემაჯამებელ ნაწილებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების ინტერესები და შესაძლებლობები გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვიძლია ამ კვლევაში. ახალგაზრდები მოელიან მეტ ფორმალურ განათლებას ცენტრისგან, რომელიც პრაქტიკულ სწავლებებზე იქნება დამყარებული. იქნება ეს სხვადასხვა სიტუაციური თამაშები თუ ამოცანები. ეს კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ კომპეტენციებზე, რადგან სამუშაო კრიტერიუმი მუნიციპალიტეტიდან შემღუდულია ფინანსური კუთხით, ხოლო არასამთავრობო სექტორიდან დონორების ჩართულობით, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში მაინც გვისახელებს არასამთავრობო სექტორი მტკიცებულებებზე შემუშავებულ პოლიტიკას და საუბრობენ მათ მიერ ჩატარებულ კვლევებზე, რომელიც უკავშირდება ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას. თუმცა ფოკუს ჯგუფზე აღმოჩნდა, რომ ეს კვლევები და პროგრამები კონკრეტული, აქტიური, ახალგაზრდების ინტერესებზეა მორგებული და არა გორის მუნიციპალიტეტის ყველა ახალგაზრდაზე.

ვფიქრობ, კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები საწინდარია ახალგაზრდული ცენტრის წარმატებული მუშაობისათვის და კარგი იქნება, თუ სამომავლოდ იქნება შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული და მუდმივად გამოყენებადი სამუშაო პროცესში.

გამოყენებული ტერმინოლოგია

ინტერეფი - გასაუბრების პროცესი კითხვა პასუხის რეჟიმში, როდესაც რეგლამენტი და შეკითხვები წინასწარაა განსაზღვრული;

თვისებრივი კვლევა - კვლევა, რომელიც შეისწავლის მოვლენის თვისებას და მის გამომწვევ მიზეზებს.

ვალიდობა - სანდოობა;

რესპონდენტი - კვლევაში მონაწილე ინდივიდი, რომელსაც სცემს პასუხს დასმულ შეკითხვებს;

ინტერვიუერი - პიროვნება, რომელიც მართავს ინტერვიუს პროცესს და უსვამს შეკითხვებს რესპონდენტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რაოდენობრივი კვლევა - 2016 წლის ქ.გორის საბუჯეტო პრიორიტეტები, გორი 2015 წ.
2. რაოდენობრივი კვლევა - 2017 წლის ქ.გორის საბუჯეტო პრიორიტეტები, გორი 2016 წ.
3. საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. 2015წ.
4. საქართველოს ახალგაზრდული კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი. 2015წ.
5. გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, 2018წ.

6. საჯარო ინფორმაცია - გორის მუნიციპალიტეტის სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდული საქმეთა განყოფილებიდან, 2019 წლის 11 თებერვალი

დანართები

დანართში წარმოდგენილია ექსპერტული და ფოკუს ჯგუფის კვლევისას თავად რესპონდენტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც დამუშავებული და კორექტირებულია მკვლევარის მიერ გრამატკულად, თუმცა მისი აზრობრივი ცვლილება არ მომხდარა და სრულ თანხვედრაშია რესპონდენტთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებთან.

დანართი №1

❖ ექსპერტული კვლევის რეკომენდაციები

- ახალგაზრდული მუშაკების როლის გაზრდა;
- მულტიფუნქციური ცენტრის ჩამოყალიბება;
- სასურველი სამუშაო გარემოს შექმნა;
- ცენტრში მუშაობდნენ კომპეტენტური და გამოცდილი კადრები;
- თანაბარი ჩართვის საშუალება ყველა ბენეფიციარს;
- გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ითხოვდეს ახალგაზრდებისგან იდეებს;
- პროექტები და პრიორიტეტები უნდა ფასდებოდეს მუდმივად;
- გვესმოდეს ახალგაზრდობის ინტერესების პულსაცა;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ბანაკების მოწყობა;
- გამჭირვალეობა - პროგრამული და ფინანსური;
- სიახლეებს სთავაზობდეს ახალგაზრდობას და არა გაცვეთილ პროგრამებს;
- იცოდნენ ახალგაზრდებმა ცენტრის დაგეგმილი წლის პრიორიტეტები;
- გააჩნდეს მეტი პრაქტიკული აქტივობები;
- სოფლის მაცხოვრებლებისათვის ტრანსპორტირების პრობლემის მოგვარებაში ხელშეწყობა/დახმარება;

- აქცენტი გაკეთდეს როგორც შიდა ღონისძიებებზე, ასევე გასვლით და საერთაშორისო დონის აქტივობებზე;
- ახალგაზრდების საინტერესო ტრენინგებში ჩართვა;
- სხვადასხვა სტაუირებების პროგრამებზე გაგზავნა/დაკავშირება;
- მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა;
- ცენტრისთვის კომპეტენტური მენეჯმენტის შერჩევა;
- კომპეტენტური ადამიანური სამუშაო რესურსი;
- ახლოს იყვნენ ახალგაზრდებთან, მუდმივად ჰქონდეთ უკუკავშირი;
- არაუშუალოდ ადგილზე მიიყვანონ ახალგაზრდები, არამედ თვითონაც გავიდნენ ახალგაზრდებთან -სკოლებში, უნივერსიტეტებში და ა.შ.;
- იმუშაონ აქტიურად სკოლებში;
- ცენტრში ჰყავდეთ კომპეტენტური ახალგაზრდული მუშაკები.

დანართი №2

❖ ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების რეკომენდაციები:

- ბავშვები არ უნდა იყვნენ მარტო მოსმენის რეჟიმში,მ ათ უნდა სთავაზობდნენ სიტუაციურ თამაშებსა და პრაქტიკულ დავალებებს;
- იყოს თუნდაც ფილმის ჩვენება;
- პროფესიონალი/კვალიფიციური ტრენერები;
- უნდა იყოს აქტიურიც და მრავალფეროვანი ;
- სკოლებთან იყოს კავშირი და ინფორმირებულები იყვნენ მოსწავლეები აქტივობებზე;
- გავითვალისწინოთ ბავშვების ინტერესები;
- ტრენინგები და პროგრამები იყოს მოსწავლეებისთვის ხელსაყრელ დროს;
- აქტივობების სიმრავლითაც უნდა იყოს გამორჩეული ;
- რეალიზების საშუალება უნდა ჰქონდეთ ბავშვებს ;
- გარემო, რომ ბავშვმაც კარგად იგრძნოს თავი;
- გაცვლითი პროგრამები;
- ექსკურსიები;

- მოტივირებულები თავადაც და ჩვენც აგვიმაღლონ მოტივაცია;
- იყოს მულტიფუნქციური ცენტრი;
- მართველობაში უნდა იღებდნენ მონაწილეობას როგორც ახალგაზრდები, ასევე ბიზნეს სექტორი და საჯარო დაწესებულებები;
- მხოლოდ უბრალოდ ბენეფიტის მოცემაზე არ იყოს ცენტრი ორიენტირებული, სარელაქსაციო ზონასაც უნდა მოიცავდეს, შეგეძლოს თავისუფალ დროს არაფერი არ აკეთო და „უბრალოდ იჯდე“.
- არაფორმალური განათლების განვითარების ხელშეწყობა;
- რეგიონების სკოლებთან რომ ჰქონდეთ კონტაქტი;
- მთავარია ბავშვები არ შეარჩეინოთ ხოლმე სკოლის დირექტორებს იმიტომ რომ „ეგეთი სიტუაციაა აი ეს ჩემი ნათესავია და უნად იყოს“
- პრინციპულად აიღოთ სამართლიანობა და არა ის ახლობლობის პრინციპი, რომლითაც დღესღობით ახალგაზრდობა ძალიან დაჩაგრულია;
- არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ საკუთარ თავზე;
- გუნდური უნდა იყოს, ჩემი აზრით, ეს ცენტრი და უფრო გუნდურობაზე უნდა იყოს ორიენტირებული;
- თანასწორობა;
- კვალიფიციური კადრები იყოს ;
- ახალგაზრდებს უნდა მისცენ საშუალება რომ თავისით გაიკვლიონ გზა.

დანართი №3



გორის მუნიციპალიტეტის მერია



KA990164471252119

საქართველო, გორი 1400, გ. ფერაძის 5; ს/კ 218086087

№ 07/2152

11 / თებერვალი / 2019 წ.

ა(ა)იპ ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანების აღმასრულებელი პრეზიდენტი სოსო მეზვრიშვილი

ბატონო სოსო,


გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში მიმდინარე წლის 29 იანვარს შემოსული თქვენი განცხადება № 1352 სადაც ითხოვთ ინფორმაციას განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდული განყოფილების 2018 წელს დაფინანსებული ახალგაზრდებისა და პროექტების შესახებ. გაცნობებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული განყოფილების საბიუჯეტო კოდიდან (04.03.02) დაფინანსდა 7 ორგანიზაცია და 5 ახალგაზრდა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის სახით.

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერის/
შტამბასთან
ელემენტურულად



კონსტანტინე თავზარაშვილი



გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული განყოფილების 2018 წლის
ხარჯთაღრიცხვა

1	სახელი, გვარი/ორგანიზაცია	პროექტის საერთო ღირებულება	მუნიციპალიტეტის წვლილი
1.1	ანა აკოფაშვილი		877
1.2	ეთერ გვარამაძე		297
1.3	გიორგი ელითაშვილი		760
1.4	მარიამ თოფჩიშვილი		1100
1.5	ერეკლე გოზალიშვილი		665
1.6	გოგონა სკალტეხი (სკალტინგის განვითარება)	1300	980
1.7	ქართლოსი	7755	4775
1.8	ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება (სოციალური კინო დისკუსია)	2080	1620
1.9	ქალი და განვითარება (დედათა კლუბი)	12200	2000
1.10	ა(ა)იპ „ბეთლემი“ (შემეცნებითი ექსკურსია ტექნოლოგიურ ცენტრში)	660	300
1.11	ჭკვიანი მომავალი (ახალგაზრდული ინტერნეტ ტელევიზია)	300	1350
1.12	ქართულ-ევროპული მშრომობა (საქართველოს მთავრობის მოდელირება)	200	1002
	სულ		15 726



"თანამშრომლობის სამკუთხედი ახალგაზრდებისთვის" ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტია და მასში მონაწილეობდნენ ახალგაზრდულ სფეროში, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედი აქტორები შემდეგი ქვეყნებიდან: შვედეთი, ფინეთი, საქართველო (გორის მუნიციპალიტეტი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), სომხეთი და მოლდოვა.